



აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი  
ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი

იზა წურიაშვილი

„რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური ანალიზი“

წარმოდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი ავთანდილ გაგნიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

2020 წელი

საავტორო უფლება 2020 მაგისტრანტი იზა წურიაშვილი

## ანოტაცია

ქვეყნის ეკონომიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონალური ინვესტიციების მოზიდვას და განხორციელებას, რადგან მათი მეშვეობით შესაძლებელია ეკონომიკური განვითარება და ეფექტიანობის მიღწევა. ინვესტიციებს გადამწყვეტი როლი აქვს ქვეყნის რეგიონულ განვითარებაში, მნიშვნელოვანია ქვეყნის რესურსული პოტენციალის ამოქმედების, ეკონომიკის სტაბილური, დინამიკური განვითარების, მოსახლეობის დასაქმების, მათი შემოსავლების ამაღლების და სხვა სოციალური პრობლემებს გადაჭრის საქმეში.

რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური ანალიზი უზრუნველყოფს არსებული რესურსების შედეგზე ორიენტირებულ განაწილებას, რესურსების სწორად გადანაწილება კოორდინაციას უწევს რეგიონისთვის საჭირო და პრიორიტეტული დარგების განვითარებას. რეგიონალური პროექტების წარმატებული ინვესტირების გარეშე ძნელად წარმოსადგენია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ღრმა ფინანსური ანალიზი ხელს უწყობს საინვესტიციო პროექტების მართვის ეფექტიანობის ამაღლებას, რესურსებისა და ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურად გამოყენებას რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

საქართველოს რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური მდგრადობის კვლევის მიზანია, გავიგოთ რამდენად სწორად არის შერჩეული პროექტი რომელიც ფინანსდება, როგორია ადგილობრივი მოსახლეობის აზრი და, რაც მთავარია ჩართულობა, არის თუ არა ეს პროექტი ამ რეგიონისთვის მიზანშეწონილი და სიკეთის მომტანი, საჭიროა კვლევა, რათა გავიგოთ როგორ იმუშავებს ეს პროექტი ამ რეგიონში რათა თავიდან ავიცილოთ საფრთხეები.

კვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს საქართველოს რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური მართვის მეთოდებისა

დამექანიზმების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა გათვალისწინება საინვესტიციო საქმიანობის მართვის ეფექტიანობის ამაღლებას შეუწყობს ხელს, რაც თავისთავად იძლევა ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების საშუალებას.

## Annotation

Iza Tsuriashvili

### “Financial analysis of Regional Investment Projects”

It is very important for the country's economy to attract and implement regional investments, because through them it is possible to achieve economic development and efficiency. Investments play a crucial role in the regional development of the country, it is important in activating the resource potential of the country, stable, dynamic development of the economy, employment of the population, raising their incomes and solving other social problems.

Financial analysis of regional investment projects ensures results-oriented distribution of available resources, proper allocation of resources coordinates the development of necessary and priority areas for the region.

It is difficult to imagine macroeconomic stabilization and economic growth without successful investment in regional projects. In-depth financial analysis of regional investment projects helps to increase the efficiency of investment project management, rational use of resources and economic potential for the socio-economic development of the region.

The purpose of the study of the financial sustainability of regional investment projects in Georgia is to understand how well the project is funded, what is the opinion of the local population and, most importantly, whether the project is appropriate and beneficial for the region. Research is needed to understand how this project will work. In the region to avoid threats.

The scientific novelty of the research is the analysis of the mechanisms of financial management methods of regional investment projects of Georgia and the development of recommendations, the consideration of which will increase the efficiency of investment management, which in itself allows to increase the economic potential.

## ნაშრომის სტრუქტურა

• ანოტაცია ქართულად .....	2
• ანოტაცია ინგლისურად .....	3
• შესავალი .....	6
• ლიტერატურის მიმოხილვა .....	17
• ეკონომიკური ანალიზის ძირითადი სფეროები .....	18
• განსხვავება ეკონომიკურ და ფინანსურ შეფასებს შორის .....	25
• პროექტის ფარგლებში და პროექტის გარეშე სცენარები .....	26
• სარგებლის და ხარჯების დადგენა .....	27
• სარგებლების და ხარჯების ეკონომიკური შეფასება .....	29
• სარგებლების შეფასება სხვადასხვა სექტორში .....	30
• ინვესტიციების დინამიკა და სტრუქტურა .....	36
• მშპ მთლიანი შიდა პროდუქტი .....	43
• ინვესტიციების გავლენა შრომით ბაზარზე .....	46
• რეგიონებში განხორციელებული პროექტები და ინვესტიციები ...	58
• ინვესტიციების შემცირების სავარაუდო მიზეზები.....	61
• დასკვნები და რეკომენდაციები .....	67
• ბიბლიოგრაფია .....	71

## შესავალი

**თემის აქტუალობა:** ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ გაატარა მთელი რიგი საფუძვლიანი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმებისა, რის შედეგადაც გაუმჯობესდა ეკონომიკური და ბიზნეს გარემო. 2006 წლის შემდეგ საშუალო წლიური ზრდა მთლიან შიდა პროდუქტზე შეადგენდა 7.2%-ს ((n.d.)) და 2019 წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელობამ მიაღწია 50 მილიარდ ლარს. ამ მაჩვენებლებით საქართველო კვლავ ინარჩუნებს საკმაოდ მზარდ ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოს, მიუხედავად ბევრი სერიოზული შოკისა (მაგალითად, 2007-2008 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისი, 2008 წლის კონფლიქტი რუსეთთან და 2014 წლის ეკონომიკური რყევები).

საქართველოს რეგიონალური საინვესტიციო პროექტების როლი ქვეყნის განვითარებაში უმნიშვნელოვანესია, რადგანაც, პირველრიგში, ის იძლევა ეკონომიკის ზრდის საშუალებას. საქართველოს ეკონომიკა განვითარების ეტაპზე იმყოფება, შესაბამისად ეს საკითხი ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალურია.

ამჟამად საქართველოს აქვს თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა, პოლიტიკური სტაბილურობა, ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, საკმაოდ კარგად განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა, გამოცდილი და კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალა, შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმი უცხო ქვეყნებთან, მათ შორის ჩინეთთან, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და დსთ-ს წევრ ქვეყნებთან. ეს ყველაფერი მიაწვდის საქართველოს დადებით ინვესტიციურ გარემოზე, რაც იწვევს სულ უფრო მეტი საერთაშორისო ინვესტორის მოზიდვას.

ინვესტიციებს გადამწყვეტი როლი აქვს ქვეყნის რეგიონულ განვითარებაში, მნიშვნელოვანია ქვეყნის რესურსული პოტენციალის ამოქმედების, ეკონომიკის სტაბილური, დინამიკური განვითარების, მოსახლეობის დასაქმების, მათი შემოსავლების ამაღლების და სხვა

სოციალური პრობლემებს გადაჭრის საქმეში. რეგიონების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მდგრადი ეკონომიკის ზრდისთვის.

საქართველოს რეგიონები არა არის თანაბრად განვითარებული. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ზოგიერთი რეგიონი, (სამცხე-ჯავახეთი, გურია, სვანეთი, თუშეთი, რაჭა-ლეჩხუმი). ეს ტერიტორიები ფაქტობრივად დაცარიელდა მოსახლეობისგან ქვეყნის ადრინდელ ეტაპებზე წარმოებული არასწორი რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის გამო. საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 65% მთიან რელიეფს უკავია, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება არის პრიორიტეტული რათა გაძლიერდეს რეგიონები, ხელი შეეწყოს რეგიონებში მცხოვრებ პირთა დასაქმებას, ცხოვრების დონის ამაღლებას, რათა შემცირდეს ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაცია.

ინვესტიციების შედეგიანობა რეგიონის განვითარებაში მრავალ ფაქტორთანაა დაკავშირებული, დაწყებული ინვესტიციების სახელმწიფო პოლიტიკიდან დამთავრებული მათი ეფექტიანად გამოყენებით, რადგან ინვესტიცია შედეგის მომცემი არ იქნება, თუ არ მოხდა მისი მიზანმიმართული და სწორად გააზრებული გამოყენება საბოლოო შედეგის მისაღებად.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა საკვლევი საგანი, რომელმაც მოიცვა საქართველოს რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური მდგრადობის, რეგიონების განვითარების მიმართულებები, არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, პროექტების ფინანსური მდგრადობა, რეგიონალური ინვესტიციების როლი სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებისთვის.

საქართველოს რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური მდგრადობის ანალიზი აუცილებელი წინაპირობაა იმისთვის, რომ შეიქმნას სტაბილური და უსაფრთხო გარემო. ინვესტიციის ეფექტიანი

განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და განვითარებას.

რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური ანალიზი უზრუნველყოფს არსებული რესურსების შედეგზე ორიენტირებულ განაწილებას, რესურსების სწორად გადანაწილება კოორდინაციას უწყევს რეგიონისთვის საჭირო და პრიორიტეტული დარგების განვითარებას. რეგიონალური პროექტების წარმატებული ინვესტირების გარეშე ძნელად წარმოსადგენია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ღრმა ფინანსური ანალიზი ხელს უწყობს საინვესტიციო პროექტების მართვის ეფექტიანობის ამაღლებას, რესურსებისა და ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურად გამოყენებას რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური მართვის პრობლემების არსებობა აუცილებელს ხდის ჩვენს რეგონებში საინვესტიციო პოლიტიკის შესწავლას და კრიტიკულ გააზრებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს სამაგისტრო კვლევის შერჩეული თემის აქტუალობას.

**კვლევის მიზანი:** კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური მდგრადობის პრობლემების შესწავლა, დაფინანსების ხარისხის რელევანტური რაოდენობის და ფინანსური რისკებისგან -დაცულობის ხარისხის შეფასება. პროექტის რეალიზების რეალურობა, დადებითი ეფექტის შეფასება, ანალიზი და კვლევის შედეგად წარმოჩენილ პრობლემათა გადაჭრის გზების ძიება. კვლევის მიზანია ასევე იმის გარკვევა, თუ როგორ შეუძლიათ ადგილობრივი ბიზნესებს, ფერმერებსა და ზოგადად ქართულ ოჯახებს პროექტებისაგან მეტი სარგებლისა და სიკეთის მიღება. რა რესურსებია საჭირო ამა თუ იმ პროექტის დასაფინანსებლად და რა სარგებლის მომტანია ესა თუ ის პროექტი როგორც რეგიონისთვის, ასევე ქვეყნისთვის.



საქართველოს რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური მდგრადობის კვლევის მიზანია, გავიგოთ რამდენად სწორად არის შერჩეული პროექტი რომელიც ფინანსდება, როგორია ადგილობრივი მოსახლეობის აზრი და, რაც მთავარია ჩართულობა, არის თუ არა ეს პროექტი ამ რეგიონისთვის მიზანშეწონილი და სიკეთის მომტანი, საჭიროა კვლევა, რათა გავიგოთ როგორ იმუშავებს ეს პროექტი ამ რეგიონში რათა თავიდან ავიცილოთ საფრთხეები. ამის შემდეგ საჭიროა დადგინდეს ინვესტიციისთვის საჭირო რესურსები. კვლევის მიზანია გავიგოთ პროექტის განვითარების გზები და სამომავლო განვითარების პერსპექტივები, განსაკუთრებით პროექტის დაფინანსების ამოწურვის შემდეგ. რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური მდგრადობის ანალიზი აუცილებელია რათა სწორად განვსაზღვროთ თუ როგორ შეუძლიათ ადგილობრივ ბიზნესებს, ფერმერებსა და ზოგადად ქართულ ოჯახებს შეთანხმებისაგან მეტი სარგებლისა და სიკეთის მიღება.

კვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს საქართველოს რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური მართვის მეთოდებისა დამექანიზმების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა გათვალისწინება საინვესტიციო საქმიანობის მართვის ეფექტიანობის ამაღლებას შეუწყობს ხელს, რაც თავისთავად იძლევა ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების საშუალებას.

კვლევის საგანს წარმოადგენს რეგიონული ინვესტიციების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის, კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს რეგიონების საინვესტიციო კლიმატი და ინვესტიციების როლი მისი გაუმჯობესების პროცესში.

სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების მთლიანი რაოდენობის ყოველწლიური ზრდა ხაზს უსვამს ქვეყნის ამბიციურ მიზანს, რომ იყოს ერთ-ერთი საუკეთესო საინვესტიციო ადგილი მსოფლიოში, რაც, ამავე დროს, იწვევს მუდმივად მზარდ სახელმწიფო ვალს. ამდენად,

თითოეული საინვესტიციო პროექტისთვის ძალზე მნიშვნელოვანია პროექტის ხარჯების ეფექტურობის შესწავლა პროექტის შეფასების ეტაპზე. საქართველოს აქტიური ეკონომიკური განვითარების ამ ეტაპზე, აუცილებელია დააფინანსდეს ის პროექტები, რომლებიც ყველაზე ეფექტურია. ეს ყველაზე პოზიტიურად აისახება საზოგადოებაზე და მთლიან ეკონომიკაზე, რაც გამოიწვევს პოზიტიურ გრძელვადიან რეგიონალურ განვითარებას.

**კვლევის ამოცანები:** კვლევის ძირითად ამოცანად დასახულია, არსებული რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური მდგრადობის პრობლემების გადაჭრის გზების და სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა წარმოჩინება.

ნაშრომში კვლევის შედეგად გაკეთებულია დასკვნები, მოცემულია, პრობლემათა გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატიული გზები და რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური მდგრადობის გამართულად მართვის აუცილებლობა, პროექტების უკეთ ფუნქციონირებისათვის.

კვლევის ამოცანაა რეგიონული პრობლემების აღმოჩენა, რესურსების სწორად გადანაწილება, საინვესტიციო პროექტის დადებითი მხარის განსაზღვრა, პროექტის მომგებიანობის შეფასება.

საინვესტიციო პროექტის შეფასება საჭიროა შემდეგი მიმართულებებით: პოლიტიკური, იურიდიული, ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური, კომერციული, ტექნიკური, გარესმოსთან დაკავშირებული შედეგების კვლევა.

რადგან რეგიონული დადებითი ფაქტორების წარმოჩენა გავლენას ახდენს ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებაზე, ამიტომ საჭიროა მუნიციპალური ქონების ოპტიმალური მართვა და მისი გამოყენება ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლების კუთხით. დასახულია ამოცანები საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით

როგორცაა: თანამედროვე აღჭურვილობა, ახალი ტექნოლოგიები, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ნეგატიური ფაქტორების შემცირების გზები, რომლებიც მოქმედებს პროექტების მართვის ეფექტიანობაზე.

კვლევის ამოცანაა რეგიონალური საინვესტიციო ფინანსების მდგომარეობის შესწავლა შიდა რეგიონულ ჭრილში პრობლემის აღმოჩენა, ფინანსების ეფექტური მართვის ღონისძიებების დასახვა. ამისთვის საჭიროა შევისწავლო რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების მეთოდოლოგია, გავიგო რეგიონების ამჟამინდელი მდგომარეობა, თვითოეული რეგიონის რესურსების პოტენციალი და გამოვიკვლიო პრიორიტეტული მიმართულებები, შევიმუშავო რეგიონის განვითარების კონცეფტუალური მოდელი. შევაფასო ინვესტიციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. გავაანალიზო რეგიონების საინვესტიციო განვითარების სტადიები და დავადგინო რეგიონისთვის პრიორიტეტული მიმართულებები.

ჩემი კვლევის საგანს წარმოადგენს ინვესტიციები რეგიონულ ჭრილში, სამომავლო პერსპექტივების განსასაზღვრად საჭიროა იმ ინვესტორების გამოკითხვა რომლებიც წლებია ახორციელებენ ინვესტიციებს რეგიონებში. როგორია მათი სამომავლო გეგმები, აპირებენ თუ არა ინვესტიციების კვლავ განხორციელებას, რა რაოდენობის და რა მიმართულებით.

**ლიტერატურის ანალიზი:** ნაშრომში წარმოდგენილია საკვლევი თემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი, კვლევის ამოცანები, განვიხილავ თანამედროვე მიდგომებს, მეცნიერულ სიახლეს. უმთავრესად განვიხილავ რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსურ მდგომარეობას, განვიხილავ რა პრობლემებია ამ მიმართულებით, რა მეთოდებია უკვე შემუშავებული პრობლემის გადასაჭრელად და რომელი მიდგომებია უკეთესი რეგიონალური საინვესტიციო პროექტების სწორად სამართავად.

პროექტის წარმატებული მართვის პრინციპები, მართვა და რისკის შეფასება ბევრ სახელმძღვანელოსა და სამეცნიერო ნაშრომშია განხილული.

ჩვენ ძირითად ვეყრდნობით ევროკომისიის რეგიონული და ურბანული განვითარების დეპარტამენტის ფუნდამენტურ კვლევას Guide to Cost-Benefit Analysis of Investment Projects (2014) . ამ მოცულობით დოკუმენტში - გაანალიზებულია პროექტის მართვის მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები, პროექტის მართვის ეტაპები და მათი თანმიმდევრულობა. ჩამოყალიბებულია პროექტის ბიუჯეტის შედგენის წესი, რისკის დონეები და მათი დადგენის მეთოდები, პროექტის წარმატებული მართვის პრინციპები.

რეგიონები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ამიტომ სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა გადასაჭრელი, ამრიგად თვითოეულ რეგიონში უნდა გატარდეს მისი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა და საინვესტიციო რესურსები იქით მიმართვა. ნაშრომში განვიხილავ რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მიხედვით ბიზნესის პრიორიტეტული მიმართულებებს.

ნაშრომში განვიხილავსაინვესტიციო პროექტების რისკს და მომგებიანობას, რადგან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი საფუძველი ინვესტიციებია და რადგანაც შიდა ინვესტიციები დეფიციტურია უცხოური ინვესტიციებს მოზიდვაა საჭირო, გადასახედია საინვესტიციო კანონი რათა ხელი შეეწყოს ბიზნესს სწორად და სამართლიანად წარმართონ ბიზნესი.

როგორც „საქართველოს რეგიონალური განვითარების პროგრამა 2018-2021“ გვეუბნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ყველა რეგიონის პოტენციალის გამოყენებით, მათი სპეციფიური შესაძლებლობების შესაბამისად, მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ცალკეული რეგიონებისა და ტერიტორიების განვითარების სპეციალური საჭიროებები და პოტენციალი. გამოიკვეთილია რეგიონები რომლებიც საჭიროებენ დამატებით

მხარდაჭერას, რათა სრულად გამოიყენონ მიმდინარე ან დაგეგმილი ინვესტიციები.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მართვა, (რეგისტრაციის N 52/36) ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში განხილულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში პროექტების მართვის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები, გამოვლენილია ნაკლოვანებები და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების საჭიროების განსაზღვრისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად, მნიშვნელოვანია გამართული და სისტემატური მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის არსებობა.

პროექტების წარმატებით განხორციელება დიდწილად დამოკიდებულია პროექტის დაგეგმვაზე. დაგეგმვაში არსებული ხარვეზები, თავისმხრივ, განხორციელების ეტაპზე იჩენს თავს, რაც გამოიხატება ამ პროექტების საერთო ღირებულების ზრდასა და მათი დასრულების ვადის გახანგრძლივებაში, ან უარეს შემთხვევაში, პროექტებით გათვალისწინებული საბოლოო მიზნის შეუსრულებლობაში.

რეგიონალური ეკონომიკის განვითარების თეორია და მეთოდოლოგია განხილულია Anand Rajaram, Tuan Minh Le, Kai Kaiser, Jay-Hyung Kim, and Jonas Frank, The World Bank (2014), „The Power of Public Investment Management“-ში, სადაც გვიზიარებენ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის საზღვარგარეთულ გამოცდილებას. ავტორთა აზრით ინვესტიციები ძირეულად ცვლის ქვეყნის მოქალაქეების შესაძლებლობებს და პერსპექტივას, რადგან იზრდება დარგობრივი სამუშაოები, ეს ყოველივე ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ამიტომ სწორად უნდა იყოს გათვლილი ინვესტიციისთვის გამოყოფილი ფინანსები. რეგიონალურისა ინვესტიციოპროექტების ფინანსური მდგრადობის პრობლემების გადაჭრის გზების შესწავლა მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს,

საქართველოს რეგიონების მდგომარეობის ფართოდ და დეტალურად შესასწავლად აღსანიშნავია შემდეგი მეცნიერების, ეკონომისტების და მკვლევარების სახელმძღვანელოები, (ნ. ჭითანავა, ე. ბარათაშვილი, ი. მესხია, ვ. პაპავა, ვ.მელქაძე, ვლ.დლონტი, გ.ჩუბინიძედასხვა).

ინვესტიციური პოტენციალი და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა სხვადასხვა კუთხით არის შესწავლილ ასევე უცხოელიმეცნიერ-ეკონომისტების მიერროგორიცაა; ი. შუმპეტერი, ჯ.მ.კეინზი,ე. დორინა, ტ.კენიონი, ვ. პეტრუშევი, მ.ბიშოპი, ნ. პოსტოვოი, ბ. გოდინი, ლ.ვიგანტი, დასხვა).

**ჰიპოტეზა/საკითხები:** ხელისუფლების მხრიდან რაც მეტი შეღავათები და ხელშემწყობი ნაბიჯები გადაიდგმება ბიზნესის წახალისებისთვის მით მეტ ინვესტორს გაუჩნდება ინტერესი ამ ქვეყანაში ინვესტიციის ჩადების. ინვესტორებისთვის კომფორტული გარემოს შექმნა მთავარი ნაბიჯია მათ მოსაზიდად.

ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ამიტომ სწორად უნდა იყოს გათვლილი ინვესტიციისთვის გამოყოფილი ფინანსები რათა არ მოხდეს მისი არასწორად ხარჯვა.

საჭიროა ინვესტიციური დაბანდებათა წყაროების და ინვესტიციების გადანაწილების შესწავლა ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით და შემდეგ რეგიონული გადანაწილება საინვესტიციო აქტიურობის მიხედვით. მნიშვნელოვანია რომ რეგიონებს შორის თანხების გადანაწილებამ რეგიონალური უთანასწორობის შემცრებას შეუწყობა ხელს.

**კვლევის მეთოდები :** სადიპლომო ნაშრომში გამოყენებულ იქნება კვლევის ზოგად მეცნიერულ მეთოდებთან ერთად, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

მიმაჩნია, რომ ჩემ მიერ ჩატარებულ კვლევაში არსებული კვლევის საგანი იქნება კომპლექსური ხასიათის, რაც ნიშნავს, რომ კვლევა რამდენიმე კვლევის მეთოდზე დაყრდნობით იქნება ჩატარებული (მისი სირთულიდან

გამომდინარე). რაც ნიშნავს რომ, გამოყენებული იქნება, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ კი:

- ჩაღრმავებული ინტერვიუ საქართველოს რეგიონალური საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მიმართულებით მომუშავე სხვადასხვა სპეციალისტებთან თუ ორგანიზაციებთან;
- საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის გამოკითხვა;
- ჩაღრმავებული ინტერვიუ მაღალმთიან რეგიონებში, რადგან ყველაზე მეტად ამ ადგილებშია საჭირო ინვესტიციის განხორციელება რადგან მოსახლეობის უმეტესობა მიგრაციას განიცდის უმუშევრობის გამო;

**კვლევის სავარაუდო სტრუქტურა:** კვლევისას გამოვიყენებ სტატიებს სხვადასხვა გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მასალას რეგიონალური საინვესტიციო პროექტების შესახებ, განვიხილავ სტატისტიკური კვლევის შედეგებს წლების მიხედვით.

აქტიურ კვლევას ვაწარმოებ ორგანიზაციებთან როგორცაა „საპარტნიორო ფონდი,“ „აწარმოე საქართველო,“ „სტარტაპ საქართველო,“ „ფიფლ ინ ნიდ,“ „არდა“ და სხვა. რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა პროექტების დაფინანსებას, ეხმარებიან მოსახლეობას და დამწყებ ბიზნესმენებს, ახორციელებენ სტარტაპების დაფინანსებას. უშუალოდ ვითანამშრომლებ ამ ორგანიზაციებთან რათა მოვიპოვო მონაცემები და გავიგო ფაქტობრივი ვითარება.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გაანალიზდეს რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ხარჯების ეფექტურობა. განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვთა სოციალურ, ფინანსურ და ეკონომიკურ ასპექტებთან დაკავშირებით დეტალური შესწავლის ჩატარების მნიშვნელობასა და აუცილებლობას, რაც ყველა პროექტის მნიშვნელოვან ნაწილად უნდა იქცეს.

უფრო კონკრეტულად ნაშრომის მიზანია კომპლექსური რეგიონალური საინვესტიციო პროექტის ფინანსური და ეკონომიკური ანალიზის ჩატარება

და პროექტის განხორციელების შესაძლო ალტერნატივებიდან ოპტიმალურის შერჩევა.

თვით პროექტის განხორციელების ალტერნატივებად ჩვენ განვიხილავთ სამ შესაძლებლობას:

- **არაფერი გავაკეთოთ:** ეს სცენარი გულისხმობს, რომ არ ხდება რეგიონალური საინვესტიციო პროექტების განხორციელება. ეს სცენარი ყველაზე ნაკლებად სასურველია რეგიონებისთვის და ქვეყნისთვის რადგან ქმნის ეკონომიკურ საფრთხეს.
- **გავაკეთოთ მინიმუმი:** ეს სცენარი გულისხმობს, რომ არ ხდება ინვესტიციების უცხოეთიდან მოძიება და შემოდინება, ხდება რეინვესტირება არსებული პროექტების და არ ხდება ახალი პროექტების ინვესტირება, ეს სცენარი პირველთან შედარებით მეტად ხარჯიანია.
- **გავაკეთოთ ახალი:** ეს სცენარი გულისხმობს, რომ ხორციელდება ახალი საინვესტიციო პროექტები, ასევე ხდება არსებული პროექტების სიახლეებზე თანამედროვედ გადაწყობა თითქმის ყველა პარამეტრის მიმართულებით. ეს სცენარი ყველაზე ხარჯიანია.

შესაძლო ბიზნეს გარემოსთან მიმართებაში ჩვენ განვიხილავთ ორ შესაძლებლობას:

- რეგიონალური საინვესტიციო პროექტებზე **მოთხოვნა ნარჩუნდება.** ეს გარემო ჩვენს დაშვებებში მიჩნეულია „ნაწილობრივ მოსალოდნელად“, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპები ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ მაღალი იყო, გასათვალისწინებელია ზრდის ტემპების შემცირება
- რეგიონალური საინვესტიციო პროექტებზე **მოთხოვნა გაიზრდება.** ეს გულისხმობს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა არ ფერხდება და შესაბამისად ბიზნეს აქტიურობაც იზრდება. ეს გარემო ჩვენს დაშვებებში მიჩნეულია „შედარებით მოსალოდნელად“, რადგან



ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპები ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ მაღალი იყო და ჩვენ მოველით მათ კიდევ უფრო გაზრდას.

ჩვენ არ განვიხილავთ შემთხვევას, როცა რეგიონალური საინვესტიციო პროექტებზე **მოთხოვნა შემცირდება**, რაც გულისხმობს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ფერხდება და შესაბამისად ბიზნეს აქტიურობაც მცირდება. ამ შემთხვევას დეტალურად არ განვიხილავთ, რადგან მოვლენების ასეთი განვითარება მიგვაჩნია „ნაკლებად მოსალოდნელად“, რადგან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპები ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ მაღალი იყო. თუმცა, არ არის გამოსარიცხავი ისეთი გლობალური ფორს-მაჟორული სიტუაციები, რომელმაც შესაძლოა ძალიან შეამციროს მოთხოვნა (მაგ. კორონავირუსის პანდემიამ ძალიან შეამცირა ეკონომიკური აქტივობები)

ნაშრომის საბოლოო მიზანია შესაბამისი მეთოდოლოგიით მონაცემების დამუშავება, დასაბუთებული ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება და ამ პროცესის აღწერა.

## **ლიტერატურის მოძიება**

აზიის განვითარების ბანკის (Asian Development Bank, 2017) თანახმად ”ეკონომიკური ანალიზით შეფასებულია პროექტის წვლილი რეგიონის ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისთვის. ეს მზადდება მთელი საზოგადოების (რეგიონის ან ქვეყნის სახელით) ნაცვლად იმისა, რომ ის მხოლოდ ინფრასტრუქტურის მფლობელი იყოს, როგორცაა ფინანსური ანალიზი.<sup>1</sup>

პროექტის ეკონომიკური ანალიზი მიზნად ისახავს შეზღუდული მოცულობის რესურსების ეფექტურად განაწილებას, ინვესტიციებს მოუტანს სარგებელს ქვეყნისთვის და ზრდის მისი მოქალაქეების

---

Asian Development Bank, 2017

<sup>1</sup> <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/411996/adb-financial-report-2017.pdf>

კეთილდღეობას. პროექტის მიერ გამოყენებულ ყველა რესურსს, აქვს შესაძლებლობა, რადგან პროექტის გარეშე, მათ შექმნან ღირებულება ეკონომიკის სხვაგან. ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი პროექტი მოითხოვს, რომ იგი წარმოადგენდეს ყველაზე იაფფასიან ან ყველაზე ეფექტურ ვარიანტს მიზნის მისაღწევად პროექტის შედეგების მისაღწევად, წარმოქმნის ეკონომიკურ ჭარბი შესაძლებლობის მიღმა და გააჩნია საკმარის სახსრებს წარმატებული ოპერაციისა და შენარჩუნებისთვის.

კარგად ჩატარებულმა ეკონომიკურმა ანალიზმა უნდა აჩვენოს, რომ პროექტს აქვს დაფინანსების ძლიერი საფუძველი და იგი წარმოადგენს ყველაზე იაფი და ეფექტურ ვარიანტს ყველა შესაძლო ალტერნატივას შორის, მოსალოდნელია პროექტის სარგებლის მისაღწევად. იგი ასევე უნდა შეიცავდეს ქვეყნის მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს და საერთო შესრულებას. თუ პროექტი არ წარმოქმნის დადებით ENPV- ს (წმინდა დღევანდელ ღირებულებას), ის უნდა იქნას უგულებელყოფილი.

### ***ეკონომიკური ანალიზის ძირითადი სფეროები***

ეკონომიკური ანალიზი მოიცავს პროექტის მიზანშეწონილობასა და სიცოცხლისუნარიანობასთან და მის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების ანალიზს:

- **ქვეყნის კონტექსტის ანალიზი** განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების ტენდენციებს და შესაძლებლობებს და შეისწავლის, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს ქვეყნის ეკონომიკა შემოთავაზებული პროექტის განხორციელების გათვალისწინებით და როგორ შეიძლება შეიცვალოს მაკროეკონომიკური ინდიკატორები მიმდინარეობის და მის შემდეგ, განმავლობაში. (Asian Development Bank, 2017) (European Commission, 2014)
- **დარგობრივი ანალიზი** წარმოადგენს მოცემული პერიოდისთვის ეკონომიკის სექტორების მიმდინარე ეკონომიკური და ფინანსური

მდგომარეობის შეფასებას. ეს ხელს უწყობს კონკრეტული ინდუსტრიის პრაქტიკული მოქმედების შესაძლებლობების დადგენას. დარგობრივი ანალიზი ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებს ან ინვესტორს, განსაზღვროს რამდენად კარგად შეასრულდება შემოთავაზებული პროექტი კონკრეტულ სექტორში. აუცილებელია გვესმოდეს, თუ რატომ არის შემოთავაზებული ეს პროექტი და როგორ შეუწყობს ხელს ის ამ სექტორში არსებული საკითხების განვითარებას.

- **მოთხოვნის ანალიზი** პროექტის მიზანშეწონილობის შესწავლის ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნებს. ახალი რეგიონალური პროექტების ამჟამინდელი მოთხოვნილება შეიძლება იყოს დაფუძნებული სააგენტოების და სამინისტროების მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებზე, აგრეთვე მესამე მხარის ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებზე. მომავალი მოთხოვნა ემყარება BAU–ს (**BAU – Business as Usual** (ბიზნესი ახლანდელი მდგომარეობით)) და პროექტების სცენარების პროგნოზირების მოდელებს. მოთხოვნის პროგნოზირების შესაბამისი ტექნიკა დამოკიდებული იქნება კონკრეტული სექტორის მრავალ ფაქტორზე და მახასიათებლებზე. **მოთხოვნის ანალიზი** ასევე მოიცავს ალტერნატივების ღირებულების შეფასებას. თუ პროექტს არ შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნა მოქმედი ფასით, ეს მწირი რესურსები შეიძლება გამოყენებული იქნას სხვაგან ეკონომიკური სარგებელის შესაქმნელად. თუ პროექტი მიეკუთვნება ფართო ქსელს, მაშინ მათ მოთხოვნაზე გავლენას იქონიებს არსებული ინვესტიციების შედეგად მიღებული საკითხები. გაზომვები და გამოთვლები უნდა მოხდეს იმის დასადასტურებლად, რომ ახალი პროექტი არსებულ გარემოში იარსებებს პრობლემების გარეშე.

საიმონ ბერინგი (Buehring, 2011) აღნიშნავს, რომ "პოტენციური პროექტის განხილვისას სამი ძირითადი ვარიანტია განსახილველი:

- არაფერი გააკეთო
- გააკეთე მინიმუმი
- გააკეთე ახალი.
- "არაფერი გავაკეთოთ" ვარიანტი ნიშნავს რომ პროექტი არ არის სიცოცხლისუნარიანი.
- "გააკეთე მინიმუმი" ვარიანტი ნიშნავს არსებული პროექტების რეინვესტირებას გაუმჯობესებას, თავიდან ხელშეწყობას და განახლებას
- "გააკეთე ახალი" ვარიანტი გულისხმობს ახალი პროექტების დაფინანსებას სხვადასხვა მიმართულებით, ტექნოლოგიის საფუძველზე. გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გაანალიზოს თითოეული შესაძლებლობა, განსაზღვროს არსებული ვითარების მაქსიმალური შედეგი და სათანადო დასაბუთება მისცეს, თუ რატომ არის შემოთავაზებული ალტერნატივა საუკეთესო პროექტისთვის.

ბო, ფორიო და ფორიო (Bo, 2016) აცხადებენ, რომ "საბაზო მდგომარეობის და პერსპექტიული ალტერნატივების იდენტიფიცირება ორი ასპექტია, რაც გავლენას მოახდენს შემდეგი შეფასებების ყველა შედეგზე. საბაზო მდგომარეობა ზოგადად შეესაბამება „არაფერი გავაკეთოთ“ გადაწყვეტილებას." (გვ. 73)

- **ეფექტური ეკონომიკური ანალიზისთვის** აუცილებელია, რომ პროექტის მიხედვით არჩეული ვარიანტი იყოს ყველაზე იაფი და ყველაზე ეფექტური ალტერნატივა სხვებთან მიმართებაში. ეს, როგორც წესი, იმას ნიშნავს, რომ არჩეულ ალტერნატივას უნდა ჰქონდეს ყველაზე დაბალი დისკონტირებული ხარჯები. ანალიზმა ასევე უნდა გაითვალისწინოს კრიტერიუმების საკმაოდ სრული

დიაპაზონი სხვადასხვა ვარიანტებისთვის, რაც საბოლოოდ გადაწყვეტს საუკეთესო ვარიანტს უმაღლესი ENPV-ით (ENPV – Economic Net Present Value (თანამედროვე ეკონომიკური ღირებულება). აქედან გამომდინარე, მულტიკრიტერიული ანალიზის საჭიროების შემთხვევაში, უნდა იყოს გათვალისწინებული სხვადასხვა კრიტერიუმების წონები მთლიანობაში.

უოტკინსის ((n.d.)) თანახმად, "ხარჯების და სარგებელის ანალიზით შეფასებები ადგენს პროექტების საზოგადოებასთან მიმართებაში სარგებლიენობის და ხარჯების ჯამურ ღირებულებას, რათა დაადგინონ, არის თუ არა პროექტები ღირებული". უოტკინსმა შეაჯამა, რომ პროექტის ყველა ელემენტი უნდა იყოს გამოხატული ჩვეულებრივი საზომი ერთეულით (ფული) იმ მომენტში და ინფლაციის თავიდან აცილების მიზნით, ფულადი ფასეულობები მოიცემა ყველა პოზიტიური (სარგებელი) და უარყოფითი (ხარჯების) საშუალებებით. CBA ითვალისწინებს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შესაძლებლობის ღირებულებას, რომ შესაძლო მოგება მიიღოს საუკეთესო ალტერნატივისგან. იგი ასევე მოიცავს დისკონტირების განაკვეთებს, მომავალი სარგებლის და ხარჯების მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად, მომავალი ხარჯებისა და სარგებელის პროგნოზირებისთვის, შესაბამისი ვადის განსაზღვრისათვის და პროექტის შედეგად მიღებული გაურკვევლობებისა და რისკების გათვალისწინებით.

- ასეთი შეფასებისათვის საჭიროა „პროექტის ფარგლებში და პროექტის გარეშე სცენარების დადგენა და ამ ორივეს შედარება“<sup>2</sup> (Assian Development Bank, 2017)

პროექტის გარეშე, სცენარი გულისხმობს ახალი ინფრასტრუქტურის არარსებობას, რომელიც ასევე ცნობილია როგორც Business As Usual (BAU). ევროკომისიის (European Commission, 2014) მონაცემებით, CBA არის

---

(Assian Development Bank, 2017)

<sup>2</sup> <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/411996/adb-annual-report-2017.pdf>

მიკროეკონომიკური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ეკონომიკურ ინდიკატორებს, გარდა გარემოსდაცვითი, ტექნიკური და სოციალური ფაქტორებისა, ქვეყნის კეთილდღეობის ცვლილების შესაფასებლად.

ევროკომისია აჯამებს CBA-ს ნაბიჯებს, რომელშიც შედის ინსტიტუციური, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური კონტექსტების გათვალისწინება, მათი მიზანშეწონილობის საფუძველზე პროექტის მიზნების იდენტიფიცირება, პროექტის განმახორციელებელი სააგენტოსა და პროექტის საქმიანობის იდენტიფიცირება, მოთხოვნის და ვარიანტების ანალიზი, გარემოსდაცვითი მიზნების გათვალისწინება გარემოზე ზემოქმედების შეფასების გზით, განხორციელების ვადის განსაზღვრა და ხარჯთაღრიცხვა.

ამ ნაბიჯების შემდეგ ხორციელდება **ფინანსური ანალიზი**, რომელიც მოიცავს დაფინანსების წყაროების მოძიებას, ფულადი ნაკადების იდენტიფიცირებას, ნარჩენი ღირებულების ჩათვლით და ფინანსური მომგებიანობის შეფასებას. ფინანსური ანალიზის შემდეგ, თუ Financial Net Present Value (FNPV) განსაზღვრულია, რომ 0-ზე მეტია, პროექტი არ საჭიროებს ფინანსურ მხარდაჭერას, მაგრამ თუ ის 0-ზე ნაკლებია, მას ფინანსური დახმარება დასჭირდება, ამიტომ, ეკონომიკურ ანალიზზე გადასვლისას CBA შეაფასებს ბაზრის გავლენას და ეკონომიკურ მომგებიანობას. **ეკონომიკური ანალიზის** შემდეგ, ეკონომიკური წმინდა ამჟამინდელი ღირებულება (ENPV) დადგენილია, რომ 0-ზე ნაკლები იყოს, ეს ნიშნავს, რომ პროექტი საზოგადოებას არ მოუტანს რაიმე სარგებელს და ამიტომ იგი უნდა იქნას გაუქმებული. თუ ENPV- ზე მეტია 0-ზე, მაშინ საწყისი შფასებით პროექტი დასაშვებია და უნდა ჩატარდეს რისკის ანალიზი. როგორც წესი, ამ დროს ფასდება EIRR (**EIRR – Economic Internal Rated of Return (პროექტის შიდა ეკონომიკური უკუგება)**), და აირჩევა ის პროექტი, რომელსაც ეს მაჩვენებელი აქვს მინიმალური.

ეკონომიკურმა ანალიზმა უნდა დაადგინოს, არის თუ არა საკმარისი თანხები პროექტის გასაგრძელებლად მისი ეკონომიკური ცხოვრების განმავლობაში. პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობა და სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია ფინანსური და ინსტიტუციური მდგრადობის ანალიზზე, რომელიც აფასებს, აქვს თუ არა პროექტს შემოსავლის გამომუშავების საკმარისი შესაძლებლობები, რომ მას შეეძლოს საკუთარი დაფინანსება, გარე დაფინანსების გარეშე, აქვს თუ არა პროექტს საკმარისი თანხები ინვესტიციისთვის, ოპერაციებისთვის და პროექტის შენარჩუნების ხარჯები.

ფინანსური და ინსტიტუციური მდგრადობის ანალიზი ასევე განსაზღვრავს პროექტის ფისკალურ გავლენას, რის შედეგადაც ინვესტიციები, ექსპლუატაცია და ტექნიკური ხარჯები შესაძლოა ფინანსდება მთავრობის ბიუჯეტის მიერ. ამიტომ, გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა განიხილონ დონორ ორგანიზაციასა და მთავრობას შორის ფინანსური დახმარების შესაბამისი წილები, რათა შეამცირონ ფისკალური გავლენა. მათ ასევე უნდა გაითვალისწინონ შესაბამისი ხარჯები გარემოზე შესაძლო ზიანის შესამცირებლად, რაც ასევე უნდა შეფასდეს და შეტანილი იქნას ეკონომიკურ ანალიზში.

- **რისკი და მგრძობელობა** არის და უნდა იყოს პროექტის ეკონომიკური ანალიზის განუყოფელი ნაწილი, რომელიც ხაზს უსვამს იმ მახასიათებლებს, რომლებიც წარმოადგენს პროექტის სასიცოცხლო, წარმატებულ დასრულებას, მაგრამ ექვემდებარება რისკს. ამრიგად, ამგვარი რისკების შემამსუბუქებელი ზომები განიხილება ამ ანალიზში.
- **რისკის ანალიზის** ჩასატარებლად, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ალბათობების განაწილება კვლევის თითოეულ კრიტიკულ ცვლადზე, რის შემდეგაც ჩვენ შევძლებთ გამოვთვალოთ პროექტის IRR ან NPV მოსალოდნელი მაჩვენებლები. გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა მოახერხონ კომპრომისი მაღალი სარგებლისა და

მაღალი რისკის შემცველ პროექტებსა და დაბალი სარგებლიან და დაბალი რისკის მქონე პროექტებს შორის. ზოგჯერ გადაწყვეტილების მიმღები პირები წყვეტენ მიიღონ „შუალედური გადაწყვეტილება“, მაგრამ ამ დროს მათ უნდა ახსნან თავისი არჩევანი.

- **მგრძობელობის ანალიზის** ჩასატარებლად, ჩვენ უნდა შეარჩიოთ ეკონომიკური ანალიზის მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ცვლადები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პროექტის NPV ან IRR-ზე. სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს ექნება განსხვავებული არსებითი ცვლადები, რომლებიც უნდა აირჩიონ რაც შეიძლება ზუსტად და შეფასდეს. თუ სხვადასხვა ცვლადები არ გადაფარავს ერთმანეთს, თითოეული მათგანი უნდა შეფასდეს მგრძობელობის ანალიზით. მგრძობელობის ანალიზის მოდელის რესტრუქტურირაცია უნდა მოხდეს სხვადასხვა ცვლადების ურთიერთდამოკიდებულების აღმოსაფხვრელად, რათა მათ ყველაზე ეფექტურად შეარჩიონ ყველაზე მნიშვნელოვანი. ”იმ პროექტებისთვის, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვან ინვესტიციას, შეიძლება გამოყენებულ იქნას რაოდენობრივი რისკის ანალიზი, რომელიც იყენებს კრიტიკულ ცვლადებზე ალბათობების განაწილებას.”<sup>3</sup> (აზიის განვითარების ბანკი, (Asian Development Bank, 2017).

### *განსხვავება ეკონომიკურ და ფინანსურ შეფასებებს შორის*

CBA (CBA – Cost-Benefit Analysis (ხარჯების და სარგებლის ანალიზი) მოიცავს ნაბიჯებს ეკონომიკური და ფინანსური ანალიზისთვის, რომელიც

---

<sup>3</sup> (Asian Development Bank, 2017)  
<https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/411996/adb-annual-report-2017.pdf>



ხორციელდება პროექტის შეფასების ეტაპზე, მისი სიცოცხლისუნარიანობის და მიზანშეწონილობის დასადგენად, სასურველი შედეგის მისაღწევად და რეგიონალური ეკონომიკის გააქტიურების და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების ალბათობების შესახებ. მთავრობებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების უმეტესობა მოითხოვს ზემოთ ჩამოთვლილ ანალიზს, სანამ პროექტში ინვესტიცია განხორციელდება იმისათვის, რომ დაადგინონ, ღირებულია თუ არა ეს პროექტი და რამდენად მოიტანს ის სარგებელს საზოგადოებისთვის.

**ფინანსური ანალიზი** მიზნად ისახავს პროექტის საბოლოო მომხმარებლებისთვის, მთავრობებისა და ინსტიტუტების ფინანსური ნაკადის შეფასებას. ფინანსური ანალიზის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს სხვადასხვა მხარეებს მონაწილეობა მიიღონ ინვესტიციებში პროექტის დადებითი Financial Net Present Value (FNPV) შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ანალიზი მიზნად ისახავს პროექტის ეროვნულ ეკონომიკაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე გავლენის დადგენას, ის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს აძლევს სტიმულს პროექტში მონაწილეობა მიიღონ პროექტის პოზიტიური ეკონომიკური წმინდა ამჟამინდელი ღირებულების (ENPV) შემთხვევაში.

**ორივე ანალიზი** გულისხმობს პროექტის ხარჯებისა და სარგებლის შედარებას, მაგრამ მონაცემები, რომლებიც გამოიყენება CBA-ს გაანგარიშებაში, ძირითადად დაფუძნებულია ფინანსურ ანალიზზე, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებს უზრუნველყოფს ღირებული ინფორმაციით ფულადი ნაკადების, ფასების, შემოსავლების, ხარჯების და ვადების არსებითი მონაცემების შესახებ. ეფექტური ფინანსური ანალიზი გულისხმობს მთლიანი ხარჯების და შემოსავლების, ნარჩენი ღირებულებების დადგენას, ინფლაციის შემამსუბუქებელ ზომებს, მოქმედი SDR-ების (SDR - Social Discount Rate (სოციალური დისკონტირების განაკვეთი) არჩევას და უკუგების ფინანსური განაკვეთის (FRR)

გამოანგარიშებას. გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა გახსოვდეთ, რომ ფინანსური ანალიზი უნდა ჩატარდეს ეკონომიკური ანალიზის წინ.

**ამ ორ ანალიზს შორის მთავარი განსხვავებაა**, რომ ეკონომიკური ანალიზი მოიცავს შეფასებისას "ალტერნატიულ ფასებს", რომელიც განსხვავდება საბაზრო ფასებისგან, რაც აღმოფხვრის ბაზრის დამახინჯებებს, რაც უფრო კარგად ასახავს შესაძლებლობების ხარჯებს. ის ასევე აფასებს აგრეთვე უარყოფით ან დადებით გარეგან ეფექტებს, რაც შეიძლება შეიცავდეს გარემოსდაცვით და სოციალურ გავლენას, რომელიც გამომდინარეობს პროექტის შესრულებიდან. იგი ასევე განიხილავს ტრანსფერულ გადახდებს, შესაბამისად, ქმნის ეკონომიკურ ხარჯებს და სარგებელს ეფექტურად და შეფასებით, სოციალური თვალსაზრისით და განსაზღვრავს პროექტის სიცოცხლისუნარიანობას ქვეყნისთვის.

### ***პროექტის გარგლებში და პროექტის გარეშე სცენარები***

ეკონომიკურ ანალიზში, პროექტის სხვადასხვა სცენარის წმინდა სარგებელი უნდა შევადაროთ პროექტის გარეშე სცენარის წმინდა სარგებელს, გავზომოთ დამატებითი სარგებელი ან პროექტის შედეგად მიღებული ხარჯები. პროექტის სარგებელი და ხარჯები იზომება საბაზო წლის მუდმივ ფასებში, ინფლაციის გათვალისწინებით. თუ ინვესტიცია განხორციელებულია პროექტში, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი ღირებულება და სარგებელი, მაშინ მიმდინარე ფასები უნდა იქნას მოდიფიცირებული ინფლაციის შესაბამისად. პროექტის სხვადასხვა პუნქტი განიცდის ინფლაციის სხვადასხვა სახის გავლენას, შესაბამისად, ფასებიც შესაბამისად უნდა იყოს კორექტირებული.

პროექტის მოქმედების პერიოდი გულისხმობს პროექტში განხორციელებული ინვესტიციების პერიოდს (ანუ იმ პერიოდს, როცა ის ხორციელდება). მიუხედავად იმისა, რომ პროექტის პერიოდი გულისხმობს პროექტის უშუალო განხორციელების პერიოდს, უფრო ზოგადად პროექტის

ტექნიკური პერიოდი ნიშნავს ახალი საინვესტიციო პროექტის დაწყებიდან დაწყებული, როდესაც პროექტი ვეღარ შეძლებს საზოგადოებისთვის სარგებელი შექმნასგამოუსადეგარი გახდება ისეთ წერტილამდე. პროექტის ეკონომიკური ცხოვრება ეხება ტექნიკური პერიოდის შემდეგ პერიოდს, როდესაც პროექტის მოვლა და ექსპლუატაციის ხარჯები აღემატება მის მიერ წარმოქმნილ ეკონომიკურ სარგებელს.<sup>4</sup> (აზიის განვითარების ბანკი, (Asian Development Bank, 2017). პროექტის მოქმედების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 1-დან 5 წლამდე, ტექნიკური ცხოვრება - 15-დან 40 წლამდე და ეკონომიკური ცხოვრება - 50-დან 100 წლამდე.

### **სარგებლის და ხარჯების დადგენა**

აზიის განვითარების ბანკის მიერ შეჯამებულია (Asian Development Bank, 2017), რომ როდესაც პროექტის სარგებლიანობა და ხარჯები გამოვლენილია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სარგებელს, რომელიც გამომდინარეობს ზრდის ან არაგანვითარების შედეგებიდან, რომელთა იდენტიფიცირება შესაძლებელია არსებული ინფორმაციის საფუძველზე, როგორცაა მოთხოვნის პროგნოზები. მსგავსი განხორციელებული პროექტების წარსული გამოცდილება და მომხმარებელთა გამოკითხვები. დამატებითი პროექტის გამომავალი სცენარის პირობებში, დამატებითი მიწოდება იქმნება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და პროექტების შეღავათები ფასდება მომხმარებლის მიერ გადახდის ანაზღაურების სურვილით (ე.ი. ისინი ფასდება მოთხოვნის ფასში), რაც გამომდინარეობს გაყიდვის შემოსავლისგან. (გვ. 21-25)

- **კაპიტალის ხარჯები** მოიცავს მცენარეების, აღჭურვილობის, მანქანების, კაპიტალის მოვლა-პატრონობას და განახლებას, მიწის, მშენებლობის ხარჯებს, შენობას. სხვა არასტაბილურ აქტივებში

---

(Asian Development Bank, 2017)

<sup>4</sup> <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/411996/adb-annual-report-2017.pdf>

შედის ტექნიკური, პროექტირების, პროექტის მენეჯმენტის და, მშენებლობის ზედამხედველობისა და სხვათა ხარჯები. (ევროკომისია (European Commission, 2014) რისკის შემამსუბუქებელი ღონისძიებების გატარების ხარჯები გათვალისწინებულია მას შემდეგ, რაც შეფასდება შესაძლო რისკები და დაითვლება ალტერნატიული დანაკარგები.

- **გარეგანი ხარჯები** ყოველთვის უნდა იყოს ჩართული ეკონომიკურ ანალიზში, რომელიც მოიცავს ჰაერისა და ბინძურებას და ხმაურის გაზრდას, ტრანსპორტის დაზიანებას ავტოავარიაში, ნახშირორჟანგის გამოყოფას, გლობალურ დათბობას, საწარმოო ნარჩენებს და სხვ. თუ პროექტს აქვს უარყოფითი გარეგანი ეფექტები, (ე.ი. წარმოებიდან ნახშირორჟანგის გამოყოფა), ეკონომიკური ანალიზი უნდა მოიცავდეს უარყოფითი გარეგანი ეფექტების განეიტრალების ხარჯს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ "გარეგანი ეფექტები შეიძლება იყოს სარგებელი ან ხარჯები, რომლებიც გავლენას ახდენს მესამე პირებზე, რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა პროექტში. გარეგანი სარგებელი მოიცავს საზოგადოებრივ დადებით ეფექტებს და სასარგებლო გავლენას მესამე მხარისათვის (მაგ., ახალმა ტურისტულმა ობიექტებმა შეიძლება ადგილობრივი ბიზნესით სარგებლობა მოიტანონ)." <sup>5</sup> (DTTAS, 2016)
- **ჩადირული ხარჯები** არის საქონლისა და მომსახურების ხარჯები, რომლებიც გაწეულია პროექტის წინასწარი მომზადების ეტაპზე, ისინი საბოლოოა და არ აქვთ შესაძლებლობა იყონ ამოგებული. ჩადირული ხარჯები არ უნდა იქნას გათვალისწინებული პროექტის შეფასების დროს რადგან CBA მხოლოდ იმ ხარჯებს ითვალისწინებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება.<sup>6</sup> (UN, 2012)

---

DTTAS, 2016

<sup>5</sup> <http://www.dttas.old.gov.ie/tourism/publications/english/tourism-action-plan-2016-2018>

UN, 2012

- **სატრანსფერო ხარჯები** მოიცავს გადასახადებს, სუბსიდიებს და უსაფრთხოების გადასახადებს, რისთვისაც ანაზღაურება არ მიიღება. ამ ტიპის გადახდები არ შედის მთლიანი ეროვნული პროდუქტის გაანგარიშებაში და, შესაბამისად, არ უწყობს ხელს საზოგადოებისთვის რეალურ ეკონომიკურ რესურსებს. ”ზოგადად, გადარიცხვები უნდა იყოს გამორიცხული, რადგან საზოგადოების თვალსაზრისით, ამგვარი გადახდები გავლენას არ ახდენს რეალურ რესურსებზე და შეღავათები მხოლოდ საზოგადოების ერთი ნაწილიდან მეორეზე გადადის, მაგალითად, უმუშევრობის სარგებელი.” (DTTAS, 2016)

### **სარგებლების და ხარჯების ეკონომიკური შეფასება**

ეკონომიკური ანალიზისას, პროექტის სარგებლის და ხარჯების შეფასება მოიცავს ფულადი ღირებულების შეფასებას არამატერიალურ საქონელზე ან მომსახურებაზე და წარმოების ხარჯებს, რომლებიც მარტივად არ იზომება. სხვა ტერმინებში იგი ასევე ცნობილია როგორც ”ჩრდილოვანი ფასები (ალტერნატიული ფასები)”. მაგალითად, ექსპორტის ეკონომიკური ფასეულობები ხშირად ფასდება როგორც ჩრდილოვანი ფასები „(აზიის განვითარების ბანკი, (Asian Development Bank, 2017) ”ექსპორტის ჩრდილის ფასი ფასდება იმით, რომ თითოეული ერთეულის წვლილი შეაქვს ქვეყნის ვალუტის გაცვლაში”. (DTTAS, 2016)

ბო, ფორიო და ფორიოს (Bo, 2016) თანახმად, ”ჩრდილოვანი ხელფასის ღირებულება არის შრომის სოციალური შესაძლებლობის ღირებულება და შეიძლება განსხვავდებოდეს არსებული ხელფასისგან შრომის ბაზარზე და ასევე პროდუქციის ბაზრებზე დამახინჯების გამო. (გვ. 1) ეკონომიკაში უმუშევრობის პრობლემები გამომდინარეობს იქიდან, რომ ბაზრები

<sup>6</sup> <https://www.un.org/en/development/desa/news/2012.html>

Asian Development Bank, 2017

<sup>7</sup> <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/411996/adb-annual-report-2017.pdf>

ყოველთვის არ არის სრულყოფილი და ხშირად ხდება მაკროეკონომიკური დისბალანსი. ეს ასევე შეიძლება იყოს "ჩრდილოვანი ეკონომიკის" ან არალეგალური პრაქტიკის შედეგი (ე.ი. სექტორები ან ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ მუშაკებს უხდიან ხელზე გადასახადების გარეშე).

შრომის ეკონომიური ფასი ასევე ცნობილია, როგორც ჩრდილოვანი სახელფასო განაკვეთი (SWR). ეკონომიკურმა ანალიზმა უნდა გაამარტივოს შრომის სოციალური შესაძლებლობის ღირებულების გამოთვლა. ევროკომისია (European Commission, 2014) გვთავაზობს შემდეგ მეთოდის გამოყენებას SWR-ის გაანგარიშებისთვის:

$$WSR = mc + zd$$

სადაც  $m$  წარმოადგენს ახალი თანამშრომლის დაქირავების საფასურს,  $c$  არის კონვერტაციის ფაქტორი, რომელიც ერთზე ნაკლებია,  $z$  არის დამატებითი მუშაკთა გადაყვანის ღირებულება, რაც ექვემდებარება  $d$  კონვერტაციის ფაქტორს.

თუ შრომის ეკონომიკური ფასი არ წარმოადგენს საპროექტო სარგებელის ან ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს, მაშინ არ არის საჭირო დაწვრილებითი და დახვეწილი გამოთვლების გაკეთება, იმის გათვალისწინებით, რომ ის ძალიან შრომატევადია ინფორმაციული შეზღუდვების გამო.

### ***სარგებლების შეფასება სხვადასხვა სექტორში***

სხვადასხვა სექტორს აქვს სარგებელის შეფასების სხვადასხვა მეთოდი, რომელთა გაზომვაც შესაძლებელია ბაზრის ფასების ან ხარჯების დაზოგვის სურვილით. სარგებელი შეფასების ზოგადი პრინციპები ვრცელდება ყველა სექტორზე, მაგრამ საბოლოო შეფასება განსხვავებულია თითოეული ინდუსტრიისთვის სხვადასხვა კონკრეტული კრიტერიუმების გამო.

- **ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა** არის ფართომასშტაბიანი სექტორი, რომლის საშუალებითაც ხდება ენერჯის გადამისამართება მწარმოებლებისგან მომხმარებლებამდე და მისი ნაკადის მართვისას.

ამ ტიპის პროექტები ფართო მასიური ქსელის ნაწილია, მათ შორისაა ელექტროსადგურების კონტროლის სისტემები, განაწილების სისტემები, ელექტროენერჯის გამრიცხველიანება, ბუნებრივი გაზის მილსადენები, ქვანახშირის სატრანსპორტო მატარებლებით და ელექტროგადამცემი ხაზები. პირველადი მოხმარების ენერჯის წყაროა ნავთობი, რომელიც გამოიყენება მანქანებში, ბუნებრივი აირი, რომელიც გამოიყენება გათბობისთვის და ელექტროენერჯისთვის.

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის პროექტების ძირითადი მიზანია სისტემის შესაძლებლობების გაზრდა, ენერგოეფექტურობა, ბუნებრივი გაზის განაწილებისა და ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობის გაუმჯობესება და წარმოების ხარჯების შემცირება მოდერნიზაციის გზით.

- **წყლის ინფრასტრუქტურის პროექტებში** შედის ჩამდინარე წყლების გამოყენება და წყალმომარაგება. ამ ტიპის პროექტების ძირითადი მიზანია ჩამდინარე წყლების შეგროვების ეფექტურობის გაზრდა, წყლის წარმოებისა და განაწილების გაუმჯობესება, სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესება, შინამეურნეობების დაკავშირებული რაოდენობის გაზრდა ცენტრალურ სისტემაში და კავშირების უზრუნველყოფა იმ ოჯახებისთვის, რომლებიც დაეყრდნობიან წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების დამუშავების ნაკლებად ადეკვატური წყაროების შესახებ. ევროკომისიის (UN, 2012) თანახმად, "ეკონომიკური საფასურის შეფასების სასურველი მეთოდი, ჩვეულებისამებრ, არის გამოვლენილი უპირატესობის ტექნიკა, რომელიც დაფუძნებულია გადახდის/მიღების სურვილზე".
- **ურბანული განვითარების ინფრასტრუქტურული პროექტები** ხშირად მოიცავს მრავალ სექტორს და მოიცავს კომპონენტებს, როგორცაა გარემოსდაცვითი და საბინაო გაუმჯობესება, ჩამდინარე წყლების დამუშავება და ნარჩენების მართვა, წყლის სანიტარული ინსპექცია და მიწოდება, ურბანული რეინტეგრაცია და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განახლება. ამ ტიპის პროექტები ხშირად

ხორციელდება იმ ადგილებში, სადაც დაბალშემოსავლიანი ადამიანები ცხოვრობენ. იმის გათვალისწინებით, რომ ურბანული განვითარება გულისხმობს მრავალ საქმიანობას, რომლებიც ხშირად ერთმანეთთან ცხადად არ არის დაკავშირებული და, შესაბამისად, მათ ცალკე ყურადღება ესაჭიროება უნდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ერთმანეთს გადაფარავს, ისინი უნდა განიხილებოდეს როგორც ცალკე ერთეული.

ურბანული განვითარების ინფრასტრუქტურის პროექტის მიზნების მისაღწევად, პროექტმა უნდა დააფინანსოს ადგილობრივი ინფრასტრუქტურები, როგორცაა კვების ბაზრები, სატვირთო ტერმინალები, გზები, წყალმომარაგება, სანიაღვრე სამუშაოები და სხვა, რომლებიც განკუთვნილია შიდა ეკონომიკური მგდომარეობის გასაძლიერებლად. პროექტი ასევე უნდა დაეხმაროს ადგილობრივ მთავრობას და დაინტერესებულ მხარეებს, გაზარდონ თავიანთი შესაძლებლობები, რათა მათ შეარჩიონ რეგიონში ინფრასტრუქტურული სერვისების უკეთ დაგეგმვის, მიწოდების, პროგრამირებისა და შენარჩუნების შესაძლებლობა. აზიის განვითარების ბანკის (Asian Development Bank, 2017) (Ministry of Finance of Georgia, 2018) მიხედვით "ურბანული განვითარების პროექტებს, როგორც წესი, თან ახლავს მიწის ღირებულების ზრდა, რაც ზოგჯერ მიიღება ინტეგრირებული პროექტისგან ეკონომიკური სარგებელის მართვის ზომებად".<sup>8</sup> (გვ. 38) მაშასადამე, მიწის ფასები არ უნდა იყოს ჩართული ეკონომიკური შეფასების პროცესში, რადგან მასზე გავლენას ახდენს ფართო სპექტრი.

- **საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურული პროექტები** ზოგადად გულისხმობს სკოლისა და უნივერსიტეტის შენობების გაუმჯობესებას, საკლასო ოთახების ლაბორატორიების და აუცილებელი აღჭურვილობის ჩათვლით, რაც ქმნის კომფორტულ

---

Ministry of Finance of Georgia, 2018

<sup>8</sup> <https://mof.ge/en/>



სასწავლო გარემოს. ისინი ასევე მოიცავს პირველ რიგში განათლების სისტემის გაუმჯობესებას მენეჯმენტის, შეფასებისა და მონიტორინგის სისტემების სასწავლო მასალებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გაფართოებით და გაუმჯობესებული დიზაინით. საბოლოო ჯამში, განათლების ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეუძლიათ სარგებლების ფართო სპექტრი წარმოქმნან: მაგალითად, სტუდენტთა შედეგების გაუმჯობესებით, შრომის ნაყოფიერების გაზრდით, უფრო მაღალი დასაქმით და ცხოვრების ჯანსაღი წესით.

სექტორის რთული ბუნებისა და მრავალფეროვანი ელემენტების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ხარჯთაღრიცხვის ანალიზი ძნელია, რადგან ძალიან ძნელია სამართლიანი სარგებელის შეფასება.

- **ჯანდაცვის ინფრასტრუქტურული პროექტების** მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის და ხარისხის გაუმჯობესებას ჯანდაცვის ობიექტების განახლებით, სამედიცინო პროდუქტების, ფარმაცევტული საშუალებების, სამედიცინო აღჭურვილობის მოვლა-პატრონობასა და პერსონალის ტრენინგით და ჯანდაცვის ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაძლებლობების და მონიტორინგის სისტემების მოდერნიზებით. ჯანდაცვის სექტორის სირთულის გამო, ძნელია შეაფასოს თითოეული ფასის და სარგებელის კრიტერიუმი. ამრიგად, მულტიკრიტერიის ანალიზის გამოყენება აუცილებელია ამ სექტორში, რომ სწორად შეაფასოს, გაითვალისწინოს, შეაფასოს და დაანგარიშოს თითოეული კრიტერიუმი, თითოეულ მათგანს მიანიჭოს შესაბამისი ფულადი ფასეულობები და განსაზღვროს პროექტის მიზანშეწონილობა.
- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პროექტის** იდენტიფიცირება არ არის ადვილი ამოცანა, გამომდინარე იქიდან, რომ პროექტების უმეტესობა უფრო ფართო ქსელის ნაწილია და უნდა იყოს

ინტეგრირებული არსებულ ინფრასტრუქტურასთან. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტები ხშირად მოიცავს რკინიგზას, გზებსა და აეროპორტებს, რომლებიც პირდაპირ სარგებელს უქმნის საბოლოო მომხმარებლებს. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტების ძირითადი მიზნებია პერიფერიულ რეგიონებს შორის კავშირის გაუმჯობესება, ქსელის უსაფრთხოებისა და საიმედოობის განვითარება, კომუნიკაციების გაუმჯობესება, მოგზაურობის დროის შემცირება, დატვირთვების მოცულობის შემცირება, სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები („VOC“) და ექსპლუატაციისა და შენარჩუნების ხარჯები, სათბურის გაზების ემისიის შემცირება, გარემოს დაბინძურების და ზიანის მიყენების და ავტოავარიების და ფატალურობის მაჩვენებლის შემცირება, ე.წ. ”შავი ლაქების” აღმოფხვრა.

**საგზაო პროექტები** ჩვეულებრივ მოიცავს გზების, გვირაბების, ხიდების მშენებლობას, განახლებას, შენარჩუნებას ან რეაბილიტაციას. ახალი საგზაო ინფრასტრუქტურისგან მიღებული სარგებელი მრავალ ფაქტორს ემყარება:

- მოგზაურობის დროს ზოგავს ხარჯებს, რომელიც შემცირდება მანძილების შემცირების გამო. მგზავრთა სარგებელის გაზომვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს საათობრივი ხარჯები, ხოლო ტვირთის ტრანსპორტირებისთვის სარგებელი მოიცავს საქონლის სწრაფად მიწოდებას.
- ახალი ან მოდერნიზებული ინფრასტრუქტურით და გზის უფრო მაღალი ხარისხით და მისი გაუმჯობესებული მახასიათებლებით გამოწვეული ავტომობილების ექსპლუატაციისა და ავარიის ხარჯების შემცირება. ასეთია: ზოლის სიგანე, სიმრუდე, ზედაპირის ხარისხი, რაც ამცირებს მანქანების, საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებას და თავიდან აიცილებს სამედიცინო ხარჯებს. ასევე დანაკარგები, როგორც ფატალური შემთხვევებით

- გარემოზე ზემოქმედების შემცირება, რაც ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს. თუ გზის პროექტი ითვალისწინებს ზომებს, რომლითაც შემცირდება ჰაერის დაბინძურება და სხვა მავნე გამონაბოლქვები, ისინი შეიძლება შეფასდეს, როგორც მნიშვნელოვანი სარგებელი პროექტის ეკონომიკურ ანალიზში ხარჯების ნაცვლად. შემცირებული ჰაერის დაბინძურებისგან მიღებული მოგება შეიძლება გათვალისწინებული იქნას პროექტში მომავალი ინვესტიციების შემცირებული ხარჯებით, რაც შეიძლება საჭირო გახდეს ჰაერის დაბინძურების გაწმენდის ან გადამუშავება.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პროექტის შერჩევა ემყარება სხვადასხვა შესაძლო ვარიანტს, როგორცაა მარშრუტები, განლაგებები, ცვლა, ადგილი, ტრანსპორტირება და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პროექტი მრავალ კრიტერიუმს მოიცავს, ღირებულება-სარგებლის ანალიზი არ იქნება საუკეთესო ვარიანტი პროექტის შესაფასებლად. ამის ნაცვლად, მულტიკრიტერიული ანალიზი უნდა იყენებდეს თითოეული კრიტერიუმის წონის, შეფასების, შეფასებისა და შეფასების მიზნით, შედეგების შედარებისა და ვარიანტების შერჩევის მიზნით და აირჩიეთ საუკეთესო ალტერნატივა. ეს ანალიზი უნდა განხორციელდეს პროექტში ინვესტიციის განხორციელებამდე, რათა მოხდეს პროექტის სიცოცხლისუნარიანობის და მიზანშეწონილობის შეფასება.

**საგზაო ინფრასტრუქტურა** არის საქართველოს ყველაზე თვალსაჩინო და ყველაზე აქტიური სექტორი, რომელიც განპირობებულია დონორი ორგანიზაციების მხრიდან ინვესტიციების შემოდინებით. (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (Ministry of Finance of Georgia, 2018).

ევროპასა და აზიის დამაკავშირებელ სატრანზიტო დერეფნის გასწვრივ, საქართველოს აქვს პოტენციური კავშირი რეგიონის მრავალი ქვეყნის გლობალურ ეკონომიკასთან. ამდენად, საქართველოს მთავრობამ დაიწყო

მრავალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტი, სახმელეთო ტრანსპორტის ფიზიკური და ოპერაციული კლიმატის გასაუმჯობესებლად, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერით, მაგალითად, ევროპის ინვესტიციების ბანკის (EIB) აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ.), მსოფლიო ბანკი და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA).

საქართველოს მთავრობა ვალდებულია დაასრულოს აღმოსავლეთ-დასავლეთის გზატკეცილის პროექტი 2022 წლისთვის. აღმოსავლეთ-დასავლეთის გზატკეცილი მთავარ როლს ასრულებს საქართველოს, როგორც ვაჭრობის, სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ცენტრად გადაქცევისა და მისი როლის გაძლიერების მიმართულებით.

## **საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა და სტრუქტურა**

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა წლიურ და კვარტლურ კრილში.**

დაზუსტებული მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2019 წელს 1 310.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მონაცემებზე 0.3 პროცენტით მეტია და 3.4 პროცენტით აღემატება 2019 წლის წინასწარ მონაცემებს. **საქსტატმა** ასევე დააზუსტა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2015 წლიდან. შესაბამისად, ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დაზუსტებული მაჩვენებლები და შესაბამისი ცვლილებების გამომწვევი ძირითადი მიზეზები:

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>


ცხრილი №1

	ადრე გამოქვეყნებული მონაცემები, ათასი აშშ დოლარი	დაზუსტებული მონაცემები, ათასი აშშ დოლარი	ცვლილება დაზუსტებულსა და ადრე გამოქვეყნებულ მონაცემებს შორის		ცვლილების მიზეზი
			ცვლილება, ათასი აშშ დოლარი	ცვლილება, %	
2015	1 729 088	1 728 758	-330	-0.02	სადაზღვევო კომპანიების სექტორში რეინვესტიციის მარვენების ცვლილება
2016	1 650 328	1 652 577	2 250	0.1	რამდენიმე სანარმოს მიერ სააქციო კაპიტალის და სესხის მოცულობის დაზუსტება
2017	1 962 613	1 978 282	15 668	0.8	რამდენიმე სანარმოს მიერ სააქციო კაპიტალის მოცულობის დაზუსტება
2018	1 265 236	1 306 290	41 054	3.2	რამდენიმე სანარმოს მიერ სააქციო კაპიტალის და სესხის მოცულობის დაზუსტება
2019	1 267 724	1 310 774	43 049	3.4	რამდენიმე სანარმოს მიერ რეინვესტიციის მარვენების ცვლილება
2020 I კვ.	165 368	171 800	6 432	3.9	რამდენიმე სანარმოს მიერ სესხის მოცულობის დაზუსტება

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2020 წლის I კვარტალში 165.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 41.7 პროცენტით ნაკლებია. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე სანარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2018-2020 წლებში.

დიაგრამა №1

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2018-2020 წლებში**  
(მლნ. აშშ დოლარი)



2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საქართველოში 165 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, მათ შორის, აშშ-დან 28.1 მლნ აშშ დოლარის პუი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 34% ზრდას შეადგენს და მთლიანი ინვესტიციების 17%-ს წარმოადგენს. აღსანიშნავია რომ ერთჯერადად, კვარტალური მონაცემების აღება გარკვეული დინამიკის ზოგადი ანალიზისთვის ნაკლებად რელევანტურია, რადგან გარკვეული მაჩვენებელი კონკრეტულ პერიოდში შესაძლოა ერთჯერადი ფაქტორების გამო მწკრივის საერთო დინამიკიდან ამოვარდნილი იყოს, თუმცა მეორე მხრივ, გასათვალისწინებელი ფაქტორია ეპიდსიტუაცია მსოფლიოში და ამ მხრივ, კვარტალური დინამიკა საინტერესოა. როგორც გრაფიკ 2-ზე ჩანს, ახლო წარსულში, პუი-ს დინამიკა აშშ-დან მზარდი ტენდენციით ხასიათდება როგორც კვარტალურ, ისე წლიურ დონეზე. განსაკუთრებით მაღალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი 2014 წელს იყო, 184 მლნ აშშ დოლარი, რამაც მთლიანი წლიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 10% შეადგინა.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში**  
(მლნ. აშშ დოლარი)

წელი	I	II	III	IV	სულ
2006	145.2	318.0	332.4	375.5	1 171.2
2007	330.8	375.3	470.6	588.0	1 764.7
2008	540.1	607.7	136.1	291.3	1 575.2
2009	114.5	178.3	179.1	194.9	666.8
2010	176.1	211.5	236.8	241.2	865.6
2011	222.6	273.1	309.1	329.2	1 134.0
2012	312.4	248.0	220.5	267.3	1 048.2
2013	291.8	224.1	271.6	251.6	1 039.2
2014	331.9	217.6	749.5	538.0	1 837.0
2015	343.4	493.2	531.1	361.3	1 729.1
2016	392.2	452.1	506.5	299.5	1 650.3
2017	411.7	394.0	627.9	529.0	1 962.6
2018	323.5	403.6	367.0	171.0	1 265.2
2019*	283.6	209.8	427.4	347.0	1 267.7
2020*	165.4				165.4

ცხრილი № 3

**ძირითადი პირდაპირი ინვესტიორი ქვეყნები საქართველოში 2020 წლის I კვარტალში**  
(მლნ. აშშ დოლარი)

	2018				სულ	2019*				სულ	2020*
	I	II	III	IV		I	II	III	IV		
<b>სულ</b>	<b>323.5</b>	<b>403.6</b>	<b>367.0</b>	<b>171.0</b>	<b>1 265.2</b>	<b>283.6</b>	<b>209.8</b>	<b>427.4</b>	<b>347.0</b>	<b>1 267.7</b>	<b>165.4</b>
მათ შორის:											
გაერთიანებული სამეფო	77.9	39.3	0.4	61.2	178.8	61.5	-17.5	78.4	125.3	247.8	73.1
აშშ	23.7	27.9	26.1	24.8	102.6	21.0	27.4	24.9	25.8	99.0	28.1
ჰანაშა	17.2	16.9	27.6	13.0	74.6	45.4	16.4	15.6	0.7	78.1	19.6
დანია	12.8	-3.6	7.6	-1.5	15.2	11.0	4.0	14.7	1.0	30.6	11.6
ნიდერლანდი	28.4	75.8	58.3	45.8	208.4	-91.8	56.1	40.4	48.1	52.9	11.2
თურქეთი	-41.3	39.5	55.7	-4.3	49.6	68.1	47.4	43.8	77.2	236.5	11.1
რუსეთი	15.4	22.0	22.6	9.8	69.7	6.3	7.3	23.2	13.7	50.5	10.8
დანარჩენი ქვეყნები	189.4	186.0	168.7	22.2	566.3	162.0	68.7	186.3	55.2	472.2	-0.1

2020 წლის I კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სტრუქტურული დიაგრამა №3 რომლის მიხედვით პირველ ადგილზეა გაერთიანებული სამეფო - 44.2 პროცენტით, მეორე ადგილზე აშშ - 17.0 პროცენტით, ხოლო მესამეზე პანამა - 11.9 პროცენტით.

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

ცხრილი №4

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2018-2020 წლებში**  
(მლნ. აშშ დოლარი)


	2018				სულ	2019*				სულ	2020*
	I	II	III	IV		I	II	III	IV		
<b>სულ</b>	<b>323.5</b>	<b>403.6</b>	<b>367.0</b>	<b>171.0</b>	<b>1 265.2</b>	<b>283.6</b>	<b>209.8</b>	<b>427.4</b>	<b>347.0</b>	<b>1 267.7</b>	<b>165.4</b>
მათ შორის:											
საფინანსო სექტორი	110.2	62.8	16.8	80.9	270.7	48.3	-26.5	101.7	138.1	261.8	94.9
უძრავი ქონება	-6.2	63.0	48.7	26.0	131.4	-126.6	22.9	29.8	41.6	-32.4	34.0
სასტუმროები და რესტორნები	25.3	-8.2	45.0	15.7	77.8	66.4	29.0	45.6	16.4	157.5	15.8
კავშირგაბმულობა	-63.3	10.6	6.9	5.5	-40.3	11.1	-3.1	9.8	27.7	45.4	12.8
სამთომოპოვებითი მრეწველობა	21.2	16.6	13.2	11.3	62.2	8.5	15.3	17.5	27.3	68.7	10.4
მშენებლობა	102.5	46.2	26.3	-2.0	173.0	7.7	16.8	44.4	49.6	118.5	7.7
ტრანსპორტი	63.8	64.0	64.5	11.0	203.3	28.3	26.6	11.2	5.4	71.5	6.4
დამამუშავებელი მრეწველობა	41.0	19.5	57.3	22.2	140.0	19.0	36.3	50.4	-3.5	102.2	4.5
ჯანდაცვა და სოციალური დახმარება	8.3	1.5	0.9	1.7	12.4	0.8	-0.8	11.2	2.6	13.8	3.5
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	-5.0	0.8	-0.9	1.7	-3.3	3.1	3.0	5.4	2.1	13.7	-1.0
ენერჯეტიკა	-16.9	102.0	39.8	-4.1	120.8	48.8	63.9	39.7	41.4	193.9	-26.5
დანარჩენი სექტორები	42.6	25.0	48.5	1.1	117.2	168.1	26.2	60.6	-1.7	253.1	2.9

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2020 წლის I კვარტალში 87.5 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 94.9 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 57.4 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება უძრავი ქონების სექტორი - 34.0 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - სასტუმროების და რესტორნების სექტორი 15.8 მლნ. აშშ დოლარით.

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>



**უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის საქტორების მიხედვით 2020\* წლის I კვარტალში**




პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით.

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობაში, 2019 წლის დაზუსტებული მონაცემებით, 41.6 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით ასახავს ქვემოთ მოცემული სტრუქტურული დიაგრამა რომლის მიხედვით, პირველ ადგილზე გაერთიანებული სამეფო იმყოფება - 18.0 პროცენტით, მეორეზეა თურქეთი 13.4 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ირლანდია 10.2 პროცენტით.

[ <https://www.geostat.ge/ka> ]

დიაგრამა №3


**უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2019 წელს**



აღსანიშნავია, რომ 2020 წლის პირველ კვარტალში, რიგითობის მიხედვით: გაერთიანებული სამეფო (73 მლნ), აშშ (28.1 მლნ), პანამა (19.6მლნ), დანიის სამეფო (11.5 მლნ), ნიდერლანდები (11.15 მლნ) და თურქეთი (11.13 მლნ) უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს წარმოადგენდნენ.

[ <https://www.geostat.ge/ka> ]

დიაგრამა №4



[ <https://www.geostat.ge/ka> ]

## მშპ მთლიანი შიდა პროდუქტი

ცხრილი №5

	2015	2016	2017	2018	I 19*	II 19*	III 19*	IV 19*	2019*	I 20*
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი	33.9	35.8	40.8	44.6	10.2	12.0	13.4	14.3	50.0	11.1
მშპ მუდმივ 2015 წლის ფასებში, მილიარდი ლარი	33.9	34.9	36.6	38.4	9.1	10.2	10.6	11.0	40.4	9.0
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტი	3.0	2.9	4.8	4.8	5.0	4.6	5.8	5.1	5.1	2.2
მშპ დეფლატორის ცვლილება, პროცენტი	5.8	2.6	8.5	4.4	1.7	5.1	7.2	11.2	6.6	6.1
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	9 109.4	9 613.9	10 933.9	11 968.0	2 739.4	3 229.5	3 611.3	3 848.8	13 428.9	2 976.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4 012.6	4 062.1	4 358.5	4 722.0	1 026.7	1 179.0	1 237.0	1 306.5	4 763.5	1 017.1
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	14.9	15.1	16.2	17.6	3.8	4.4	4.6	4.9	17.7	3.8

ქვეყნის ეკონომიკის ზრდა და განვითარება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ადგილი ინვესტიციების ზრდას უკავია. ინვესტიცია (საქონლისა და მომსახურების წარმოებაში კაპიტალის ჩადება) შეიძლება იყოს შიდა ან საგარეო (უცხოური). ორივე შემთხვევაში ინვესტიციას დანაზოგები ქმნის.

საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკის მიზანია ქვეყანაში ინვესტორებისთვის საინტერესო ეკონომიკური გარემოს შექმნა, რაც ინვესტიციების მოზიდვას უზრუნველყოფს. ასეთი გარემო იქმნება სამართლებრივ-იურიდიული ჩარჩო პირობების ჩამოყალიბებით.

საქართველოს კანონმდებლობაში ძალიან მნიშვნელოვანია კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. კანონის მიზანია ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებითა და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა. ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, რომელიც არის სახელმწიფოს წარმომადგენელი ინვესტორებთან ურთიერთობაში. იგი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომელსაც დააბანდებენ და გამოიყენებენ საქართველოს ტერიტორიაზე. სააგენტო უწევს ინვესტორს მომსახურებას საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის, ნებართვის აღებაში ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში. მომსახურება ფასიანია გამონაკლისს წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიცია და მომსახურების საფასურს განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სააგენტოს საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო.

არსებული საგადასახადო პოლიტიკა უცხოური ინვესტიციების მიმართ ასევე ასახულია რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში: „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“. ამ ხელშეკრულებების მთავარი მიზნებია: ინვესტორთათვის გარკვეული სახის გარანტიების შეთავაზება, ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვის გზით, საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების ხელშეწყობა. ამ კონვენციების მიხედვით ინვესტორს აქვს იმის გარანტია, რომ ის საქართველოში ორმაგი დაბეგვრის ქვეშ არ მოექცევა. საქართველოს აღნიშნული ხელშეკრულება რატიფიცირებული აქვს ყველა ძირითად ინვესტორ და სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან.

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს.

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ კანონის მიზანია, დაადგინოს ინვესტიციების ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმი. ინვესტიციების დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს

საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით (სტატისტიკური მეთოდოლოგიით), პირდაპირი ინვესტორი საწარმოს აქციების არანაკლებ 20 პროცენტს უნდა ფლობდეს. მსოფლიო ბანკის მოხსენების „ინვესტიციები საზღვრებს გარეთ 2010“ მიხედვით, საქართველო მსოფლიო 87 ქვეყანას შორის ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი ქვეყანაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის. მსოფლიო ბანკის კვლევამ ცხადყო, რომ ყველა ინდიკატორის მიხედვით, საქართველო უცხოური კაპიტალის მიმართ სრულიად ღიაა და უცხოური კომპანიის მიმართ არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. საქართველოში ბიზნესის დასაწყებად საკმარისია 4 დღე, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში ამისთვის გაცილებით მეტი დროა საჭირო (მაგალითად, რუსეთში 31 დღე, სომხეთში 18 დღე, თურქეთში კი 8 დღე). აქვე უნდას აღინიშნოს, რომ ქართველი ექსპერტების ნაწილი მსოფლიო ბანკს ნაწილობრივ ეთანხმება, თუმცა თვლის, რომ ქვეყანაში კვლავ საკმაოდ რთულია ბიზნესის წარმოება.

გზა ინვესტორებისთვის შეიძლება რეალურად გახსნილი იყოს, მაგრამ ეს არ არის მთავარი ფაქტორი და ხელისუფლებას ინვესტორების მოსაზიდად ძალიან დიდი ძალისხმევა აქვს გასაწევი. საქართველოში ბიზნესის წარმოება კვლავ რთულია. რა თქმა უნდა, ბოლო წლებში ბევრი გაკეთდა იმისთვის, რომ საქართველო უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველი ქვეყანა გახდეს. გაწეული აგიტაციის მიუხედავად, უცხოური ინვესტიციების მოცულობამ იკლო. უნდა იყოს დაინტერესება, რომ ადამიანმა ზღურბლს გადააბიჯოს. მთავარია, არა კარების ზომა, არამედ ის, თუ რა ხდება ამ კარის მიღმა. ცხადია, ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ იქნება გასაძლიერებელი, რომ პოტენციური ინვესტორები ქვეყნიდან არ გარბოდნენ და ჰქონდეთ საქართველოში ფულის დაბანდების საშუალება. არა მარტო საწარმოს გახსნა და მეწარმეებისთვის ბიუროკრატიული რეჟიმისთვის თავის დაღწევაა მნიშვნელოვანი, ათასი კომპონენტია

იმისთვის, რომ ბიზნესი წარმატებული იყოს - დაწყებული დაბალი საპროცენტო განაკვეთებით და დამთავრებული ბაზარზე შესაბამისი ადგილის დამკვიდრების ხელშეწყობი პირობის შექმნით. ინვესტორის მიმართ შემცირებული ვალდებულებებია. მიუხედავად შემცირებული მაჩვენებლებისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია.

### **ინვესტიციის გავლენა შერომის ბაზარზე**

ტერმინი ინვესტიცია (investire - შემოსვლა) ლათინური წარმოშობისაა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგის წარმოებაში კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას აღნიშნავს. „ინვესტიცია“ მოგების მიღების მიზნით ფინანსური ან და არაფინანსური აქტივების დაბანდებას აღნიშნავს.

საქართველოს კანონის „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“, მე-3 მუხლის თანახმად, ინვესტიცია არის სახელმწიფო მიერ სხვადასხვა დარგის საწარმოში, საწარმოო საინვესტიციო პროგრამებსა და საწარმოო-საინვესტიციო პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის სამრეწველო კაპიტალის ეფექტიანობით ამოქმედება, ასევე წარმოების ეფექტიანობის განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება.

საქართველოს ეკონომიკის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა, რაც დღევანდელი ერთ-ერთი დიდი პრობლემაა, შეუძლებელია მოხდეს ინვესტიციების გარეშე, თუ არ მოხდა ქვეყანაში ინვესტიციების ზრდა და შესაბამისად სამუშაო ადგილების შექმნა. საინვესტიციო პროექტების განხორციელება ყოველთვის კავშირშია ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან. ამიტომ საჭიროა როგორც ადგილობრივი ასევე უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

ინვესტიციების გაზრდისთვის საჭიროა სახელმწიფომ იზრუნოს შრომის ბაზარზე დღეს არსებული მოთხოვნების შესაბამისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მქონე კადრებზე, რომლებსაც შევთავაზებთ ინვესტორს და

გავზრდით ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონეს. საჭიროა მოხდეს კადრების მომზადება როგორც უმაღლეს ასევე პროფესიულ სასწავლებლებში, ამისთვის კი საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამების დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად შეცვლა და დანერგვა, შედეგად მოვახერხებთ კიდევ უფრო მეტი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

ხშირ შემთხვევაში საქართველოში უცხოელ ინვესტორების მხრიდან უცხოელი მუშახელის დასაქმების მიზეზია ადგილობრივ ბაზარზე კვალიფიკაციური მუშახელის არ არსებობა, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების გაზრდის გამოსავალი განათლების სფეროს მოდიფიცირებაში და ადგილობრივი მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლებაშია, რაც გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების რაოდენობას. ჩვენ თუ გვეყოლება შესაბამისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მქონე კადრები, რომელზეც არსებობს შრომის ბაზარზე მოთხოვნა და რომელთაც შევთავაზებთ ინვესტორებს, რეალურად გავზრდით ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონეს.

ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციების განხორციელება ყოველთვის კავშირშია ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან. იმისთვის, რომ ქვეყანაში მოხდეს გარკვეული სახის ინვესტირება, ამისათვის საჭიროა ქვეყნის მოქალაქეებმა შექმნან გარკვეული დანაზოგები და შემდგომ მოახდინონ სხვადასხვა სფეროში ინვესტირება, მაგრამ თუ ეს დანაზოგები არის მცირე ან საერთოდ არ არის, მაშინ აღნიშნული უკმარისობა უნდა შეივსოს უცხოური ინვესტიციებით, როგორც ხდება დღეს საქართველოში, ქვეყანა დამოკიდებულია უცხოურ ინვესტიციებზე რადგან ადგილობრივი დანაზოგები მინიმალურია ან საერთოდ არ არის, შესაბამისად მუდმივად მისი ზრდის მოლოდინშია საზოგადოება.

ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი მიჩვეულია, რომ დანაზოგების გაკეთების ნაცვალად, თუ ამისი შესაძლებლობა ექნება, დღეს უფრო მეტი დახარჯოს, ვიდრე ამის საშუალებას მათი შემოსავალი აძლევს და როდესაც დგებიან იმ რეალობის წინაშე, რომ მომავალში ვეღარ ისტუმრებენ იმას, რაც

წარსულში გადამეტებულად დახარჯეს, მათთვის იწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ პრობლემებს და სოციალურეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას. რაც ალბათ საზოგადოების გარკვეული ნაწილის დაბალი ეკონომიკური განათლების ბრალია.

საქართველო დღეს ცდილობს ქვეყანაში არსებული სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნით რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვას, ინვესტორს სთავაზობს იაფ მუშახელს, თუმცა შეთავაზებულ იაფ მუშახელს ძირითადად არ შეუძლია ხარისხიანად მშენებლობა, მომსახურების გაწევა, გზების დაგება, რემონტი, ინოვაციური პროდუქტის შექმნა და ა.შ. ასევე ქვეყანაში პრობლემურია თანამედროვე ტექნოლოგიების სათანადო დონეზე ფლობა და ახალი ტექნოლოგიების შექმნა. ამიტომ მანამდე, სანამ ქვეყანაში სისტემურად არ შეიცვლება მიდგომა და არ მოხდება კვალიფიცირებული კადრების შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად მომზადება და ინვესტორებისთვის მიწოდება, ვერ მოხერხდება უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაშიც კი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონის მნიშვნელოვანი ზრდა.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ინვესტორს დიდი არჩევანი აქვს, ჩვენს ირგვლივ ყველა ქვეყანა ცდილობს უცხოური კაპიტალის მოზიდვას, შესაბამისად ამ მიმართულებით მაღალია კონკურენციაც.

რადგანაც ქვეყანაში დღეს ყველაზე პრობლემურია კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობა და ამის მოგვარებაზე დღესვე უნდა დავიწყოთ ზრუნვა, ასევე დავიწყოთ თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლება და შექმნა.

გარდა უცხოური ინვესტიციების სტატისტიკისა და მათი მოზიდვის შედეგად დასაქმების ზრდისა, ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ის სახელმწიფო საინვესტიციო პროექტები და პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ დასაქმებას შრომის ბაზარზე. ამიტომ მნიშვნელოვანია დღეს



სახელმწიფოს მხარდაჭერითა, თუ თანამონაწილეობით ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირებით არსებული სახელმწიფო პროექტებისა, თუ პროგრამების განხილვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის ინიციატივით, 2014 წლის ივნისიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ ახალი სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განხორციელება დაიწყო. აღნიშნული პროგრამის ძირითად დანიშნულებას მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერის, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების გზით საქართველოში სამეწარმეო კულტურის განვითარება და საექსპორტო პოტენციალის ზრდა.

პროექტის აწარმოე საქართველოში მხარდაჭერით საწარმოების შექმნა შესაძლებელია შემდეგი მიმართულებით: წარმოების მიმართულება:

მინერალური პროდუქტები; სამშენებლო მასალები; ქაღალდი და მუყაო; ხის გადამამუშავება; ლითონის ნაწარმი; ქიმიური წარმოება; რეზინა და პლასტმასი; ფარმაცევტიკა; მანქანათმშენებლობა; საფეიქრო წარმოება; ელექტრო მოწყობილობები; მინერალური წყალი; ბიტუმიანი პროდუქტები და საკვები პროდუქტები.

სოფლის მეურნეობა: მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობა; მაღალტექნოლოგიური მესაქონლეობის ფერმა; ცხოველების, ფრინველების, თევზების საკვების საწარმო; მაღალტექნოლოგიური მეფრინველეობის ფაბრიკა; ხილის, კენკროვანის, ციტრუსის, ბოსტნეულის გადამამუშავება; კაკლოვნების გადამამუშავება; მატყლის, ტყავის გადამამუშავება; დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამამუშავება.

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მოიცავს ხუთ კომპონენტს:

1. ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა;
2. ინფრასტრუქტურაზე (უძრავი ქონება) ხელმისაწვდომობა;
3. საკონსულტაციო მომსახურება;

4. კინონდუსტრიის ხელშეწყობის კომპონენტი „გადაიღე საქართველოში“;
5. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი „უმასპინძლე საქართველოში“.

<http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka>

2013 წლიდან სახელმწიფო თანადაფინანსებით და ტექნიკური მხარდაჭერით სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საგენტოს მიერ შემდეგი პროექტები ხორციელდება:

- 1 შეღავათიანი აგროკრედიტი;
- 2 გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი;
- 3 აგროდაზღვევა;
- 4 დანერგე მომავალი;
- 5 ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა;
- 6 აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა;
- 7 ახალგაზრდა მეწარმე;
- 8 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა;

**პროექტი „შეღავათიანი აგროკრედიტი“** ხორციელდება 2013 წლიდან.

პროექტის მიზანია, აგრომეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი წარმოების, აგროპროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულებით დასაქმებული ფერმერები და საწარმოები საფინანსო ინსტიტუტებისგან იღებენ შეღავათიან აგროკრედიტს და აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის.

პროექტის ძირითადი საშუალებების კომპონენტს დაემატა ქვეკომპონენტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მექანიზაციისთვის, რომლის

ფარგლებშიც შეღავათიანი აგროკრედიტი გაიცემა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის ან და იმპლემენტის შესასყიდად; კრედიტებს, ლიზინგებს გასცემენ პროექტში მონაწილე კომერციული ბანკები, საფინანსო ინსტიტუტები.

უნდა აღინიშნოს, რომ აგროსექტორით საბანკო სალიზინგო სექტორის დაინტერესება პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებას უწყობს ხელს.

<http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka>

### ცხრილი #6

სტატისტიკური და ფინანსური მონაცემები დაჩვენების მიხედვით (2019 წ.)

დარგი	ბანკების მიერ გაცემული კრედიტების რაოდენობა	ბანკების მიერ გაცემული კრედიტის სიდიდე (ლარი)	წილი ჯამურ კრედიტში (%)	კრედიტის პროცენტის სახელმწიფო თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)
შევენახეობა	1,131	99,456,105	23.0	9,916,959
მესაქონლეობა	880	46,872,562	10.8	6,673,694
მებაღეობა	378	44,843,201	10.4	7,638,712
ტექნიკა	542	27,834,801	6.4	1,897,161
მეფრინველეობა	165	27,586,342	6.4	3,289,093
მეფუტკრეობა	884	26,034,890	6.0	3,162,194
პროდუქციის შესანახი საწყობები	385	25,962,433	6.0	2,739,970
პროდუქციის შესანახი მაცივრები	96	22,391,941	5.2	2,453,209
შერეული	346	20,355,732	4.7	3,506,464
სხვა დარგები	1,269	91,528,944	21.1	27,680,905
<b>სულ</b>	<b>6,076</b>	<b>432,866,951</b>		<b>68,958,360</b>

### სამუშაო ადგილები

პროექტის „შეღავათიანი აგროკრედიტი“ დაწყებიდან, 2013 წლიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით შექმნილია 11,200-მდე ახალი სამუშაო ადგილი. დასაქმებულთა რაოდენობა რეალურად მეტია, რადგანაც მოცემული მონაცემები მიღებულია მხოლოდ გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ბენეფიციარების მაჩვენებლების მიხედვით.

[http://arda.gov.ge/projects/read/agro\\_credit/5:parent](http://arda.gov.ge/projects/read/agro_credit/5:parent)

ცხრილი # 7 დასაქმებულთა რაოდენობები წლების მიხედვით (მხოლოდ გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ბენეფიციარები (როგორც მეწარმე ფიზიკური პირები, ისე იურიდიული პირები))

წელი	სამუშაო ადგილების რაოდენობა
2010	13,272
2011	16,153
2012	11,259
2013	15,868
2014	17,235
2015	18,930
2016	22,910
2017	20,606
2018	22,499
2019	22,420

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი**

**მოიცავს ორ კომპონენტს:**

- გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი.
- შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება

შესაძლებელია შემდეგი წყაროების გამოყენებით :

- სააგენტოს თანადაფინანსება - პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%, მაგრამ არაუმეტეს 600,000 ლარისა.
- შეღავათიანი კრედიტი/ლიზინგი - არაუმეტეს 1,500,000 ლარისა;
- ბენეფიციარის საკუთარი თანამონაწილეობა ან/და პროექტის

დაფინანსების

ალტერნატიული ფინანსური წყარო.

თანადაფინანსების სპეციალური პირობები ვრცელდება იმ პროექტებზე, რომლებიც განხორციელდება მაღალმთიანი დასახლებებისა და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების ნუსხით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ანდა რომელსაც განხორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

აღნიშნულ შემთხვევაში სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება

პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 60%-ით თუმცა არაუმეტეს 600,000 ლარისა.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის მიზნობრივი არეალია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი, შემდეგი თვითმმართველი ქალაქების გარდა: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი.

### გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტი

ქვემოთ მოცემულია პროექტის ბენეფიციარი 50 საწარმოს უკვე მიღებული და საპროგნოზო შედეგები. 2019 წ. დეკემბრის მდგომარეობით ამუშავებულია 43 საწარმო. 50-ვე საწარმო ამუშავდება 2020 წელს.

მაჩვენებლებში არაა გათვალისწინებული წარმოების ზრდა და მოცემულია გაყიდვების დაგეგმილი საშუალო საპროგნოზო სიდიდეები. ფაქტობრივი მონაცემების წყაროს წარმოადგენს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საგენტოს ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაცია, ხოლო საპროგნოზო მონაცემები აღებულია პროექტის საგრანტო კონკურსზე დამტკიცებული ბიზნეს-გეგმებიდან.

დარგები, საწარმოები, ინვესტიციები და სახელმწიფო თანადაფინანსება

[http://arda.gov.ge/projects/read/agro\\_credit/5:parent](http://arda.gov.ge/projects/read/agro_credit/5:parent)

### ცხრილი #8 სტატისტიკური და ფინანსური მონაცემები დაფინანსებული საწარმოები დარგების მიხედვით (2014-2019 წ.წ.)

დარგი	საწარმოების რაოდენობა	ჯამური ინვესტიცია (ლარი) *	სახელმწიფო თანადაფინანსება, გრანტი (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების (გრანტის) წილი ჯამურ ინვესტიციაში (%)
ხილის გადამამუშავება	13	25,399,808	7,189,576	28.3%
თხილის გადამამუშავება	8	12,791,838	3,986,087	31.2%
რძის გადამამუშავება	6	5,686,100	2,472,675	43.5%
ღვინის წარმოება	5	6,164,649	3,181,864	51.6%
დაფინის გადამამუშავება	2	2,434,795	945,351	38.8%
კომბინირებული საკვების წარმოება	2	2,321,200	840,290	36.2%
ჩაის გადამამუშავება	2	2,155,800	989,198	45.9%
ატმის პიურეს წარმოება	1	4,257,803	600,000	14.1%

თევზის გადამუშავება	1	1,556,758	622,896	40.0%
კენკროვნების გადამუშავება	1	1,137,500	419,397	36.9%
ლორის წარმოება	1	875,000	331,093	37.8%
მარცვლეულის გადამუშავება	1	2,500,000	948,484	37.9%
რძის გადამუშავება (გუდის ყველი)	1	548,500	219,400	40.0%
სოკოს ბრიკეტის და სოკოს წარმოება	1	2,863,885	598,255	20.9%
ჩაის და სანელებლების წარმოება	1	929,188	352,282	37.9%
ხილის წვენების, სიროფების წარმოება	1	1,744,910	610,376	35.0%
ხორცის გადამუშავება	1	951,500	373,642	39.3%
ხორცისა და თევზის გადამუშავება	1	1,149,583	420,235	36.6%
ჭანჭუხის და ტყლაპის წარმოება	1	1,060,325	443,411	41.8%
<b>კამი</b>	<b>50</b>	<b>76,529,140</b>	<b>25,544,514</b>	<b>33.4%</b>

## სახელმწიფო გრანტით მიღებული შედეგები - 2014 – 2019 წ.წ.

### ინვესტიციები

#### ცხრილი #9

შექმნილი ინვესტიციები	სიდიდე
ჯამური ინვესტიცია (ლარი)	76,529,140
სახელმწიფო თანადაფინანსება გრანტის სახით (ლარი)	25,544,514
მოზიდული ინვესტიცია (ლარი)	50,984,626

50 საწარმოში 2014 წლიდან ინვესტირებულია ან ინვესტირების პროცესშია 76,529,140 ლარი (გრანტი, კრედიტი, მეწარმის ინვესტიცია). სახელმწიფო გრანტის (25,544,514 ლარი) წილმა ინვესტიციებში 33.4 % შეადგინა.

#### ცხრილი #10

შექმნილი სამუშაო ადგილები	სიდიდე
დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა (სეზონური დასაქმების ჩათვლით)	1,622
1 დასაქმებულის სამუშაო ხელფასი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით (ლარი/თვე)	390



50 საწარმო 1,622 ადამიანს დაასაქმებს (საშუალოდ 32 დასაქმებული 1 საწარმოში) სეზონურად დასაქმებულების ჩათვლით. დასაქმებულთა წლიური ანაზღაურება 7,600,000 ლარია (390ლარი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) თვეში 1 დასაქმებულზე). სახელმწიფოს მიერ ინვესტირებული ერთი ლარი ქმნის 0.30 ლარის ოდენობით წლიურ სახელფასო თანხას (აქედან 0.06 ლარი საშემოსავლო გადასახადის სახით ყოველწლიურად გადაიხდება სახელმწიფო ბიუჯეტში).

### **ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა**

პროგრამის მიზანია როგორც კერძო სექტორში, ასევე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, ჩაის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, თანამედროვე ჩაის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა და ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიო ჩაი) წარმოების ზრდის ხელშეწყობა. პროგრამა ხორციელდება 2016 წლიდან.

პროგრამის ფარგლებში, იურიდიული პირები (გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა), რომლებსაც საკუთრებაში გააჩნიათ მიწის ნაკვეთი, მიიღებენ პლანტაციების რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხის 60%-ს, ხოლო მიწის ნაკვეთის იჯარით აღების შემთხვევაში, თანადაფინანსების მოცულობა იზრდება 70%-ამდე. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, საკუთრებაში მქონე მიწის ნაკვეთების შემთხვევაში, მიიღებენ პლანტაციების რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხის 80%-ს, ხოლო მიწის ნაკვეთის იჯარით სარგებლობის შემთხვევაში -90%-ს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, პლანტაციის რეაბილიტაციის შემდეგ სახელმწიფოსგან სრულიად უსასყიდლოდ გადაეცემათ ჩაის პირველადი გადამამუშავებისთვის საჭირო ყველა მანქანა-დანადგარი.

<http://www.arda.gov.ge/>

*ცხრილი #11 ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა - პროექტების რაოდენობა, ფართობი და ინვესტიციები 2016-2019 წ.წ.*

პროექტების რაოდენობა	სარეაბილიტაციო ფართობი (კა)	ჯამური ინვესტიცია (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)	მზა პროდუქციის * მასა (კგ./ნელი)	მზა პროდუქციის სარეაბილიტაციო ღირებულება (ლარი/ნელი)
49	1,024	2,551,642	1,775,488	1,219,000	36,570,000

სახელმწიფოს მიერ ინვესტირებულმა ერთმა ლარმა მოიზიდა 0.44 ლარი ინვესტიცია (ჯამურ ინვესტიციაში შედის მხოლოდ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისთვის საჭირო ინვესტიციები, მასში არაა შეტანილი ისეთი ხარჯები, როგორებიცაა შემოღობვა, ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა, აპარატურა-დანადგარების შექმნა, სტანდარტების დანერგვა...).

1 ლარი სახელმწიფო გრანტის ინვესტირებით ყოველწლიურად წარმოებული იქნება 0.69 კგ. ჩაის პროდუქტი და ფერმერები/საწარმოები ყოველწლიურად მიიღებენ 20.6 ლარ შემოსავალს. მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა 450 ადამიანი იქნება, ხოლო სეზონურად დასაქმებულთა რაოდენობა - 1,200-მდე ადამიანი. საშუალო ხელფასი საწარმოში დასაქმებულთათვის თვეში 400 ლარი იქნება.

<http://www.arda.gov.ge/>

*ცხრილი # 12 ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა - პროექტების რაოდენობა, ფართობი და ინვესტიციები (2019 წ.)*

პროექტების რაოდენობა	სარეაბილიტაციო ფართობი (კა)	ჯამური ინვესტიცია (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)
5	59	148,583	96,537

გარდა ამისა, 2019 წელს 8 კოოპერატივს გადაეცა ჩაის პირველადი დამუშავებისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები (314,080 ლარის ღირებულებით).

**სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა -**

**„ახალგაზრდა მეწარმე“**

პროგრამა ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და 2018 წლიდან ახორციელებს და ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“ დონორი



ორგანიზაციის, დანიის სართაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.

პროგრამის ბენეფიციარები: რეგიონებში ახალი ბიზნესის დაწყების მსურველი

ინდივიდუალური მეწარმეები, რომელთა ასაკი შეადგენს 18-35 წელს მამაკაცების

შემთხვევაში და 18-40 წელს ქალების შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომელთა დამფუძნებლები და გამგეობის თავმჯდომარე, დირექტორ(ებ)ი არიან 18-35 წლის მამაკაცები ან/და 18-40 წლის ქალები.

პროგრამის ძირითადი პირობები: პროგრამის ფარგლებში ფინანსდება როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნეს საქმიანობა. სახელმწიფოს თანადაფინანსება შეადგენს ბიზნეს-გეგმაში აღწერილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების არაუმეტეს 40%-ს (არაუმეტეს 60,000 ლარი). პროექტის საინვესტიციო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10,000 (ათი ათასი) ლარს.

*ცხრილი #13 პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“ - პროექტების*

*რაოდენობები და ინვესტიციები*

*მიზნობრიობის მიხედვით (2018-2019 წ.წ.)*

დარგი	პროექტების რაოდენობა	ინვესტიციის მოცულობა (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსება სიდიდე (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების წილი სრულ ინვესტიციებში
პირველადი წარმოება	114	10,628,981	4,171,086	39
გადამამუშავებელი წარმოება	58	6,027,791	2,333,273	39
მომსახურება	28	3,272,864	1,267,938	39
შენახვა	5	394,404	157,762	40
წარმოება	2	169,595	67,838	40
<b>სულ</b>	<b>206</b>	<b>20,493,635</b>	<b>7,997,897</b>	<b>39</b>

<http://www.arda.gov.ge/>

სახელმწიფოს მიერ გრანტის სახით ინვესტირებულმა ერთმა ლარმა მოიზიდა 1.56 ლარი ინვესტიცია.

ცხრილი # 14 პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“ - პროექტების

რაოდენობები და ინვესტიციები მიზნობრიობის მიხედვით (2019 წ.)

დარგი	პროექტების რაოდენობა	ინვესტიციის მოცულობა (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსება სიდიდე (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების წილი სრულ ინვესტიციებში
პირველადი წარმოება	65	5,256,453	2,093,935	40
გადამამუშავებელი წარმოება	20	2,223,492	870,672	39
მომსახურება	12	1,156,625	459,528	40
შენახვა	2	125,813	50,325	40
წარმოება	1	60,000	24,000	40
<b>სულ</b>	<b>100</b>	<b>8,822,382</b>	<b>3,498,460</b>	<b>40</b>

<http://www.arda.gov.ge/>

რეგიონებში განხორციელებული პროექტები და ინვესტიციები

ცხრილი #15 პროექტები და ინვესტიციები რეგიონების მიხედვით (2018-2019 წ.წ.)

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	ინვესტიციის სიდიდე (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსება სიდიდე (ლარი)
კახეთი	129	12,001,688	4,682,146
მცხეთა-მთიანეთი	18	2,354,299	886,067
რაჭა ლეჩხუმი	15	1,226,384	490,553
სამცხე-ჯავახეთი	7	1,039,023	409,172
შიდა ქართლი	10	927,636	355,781
გურია	7	793,789	317,516
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6	674,169	269,667
ქვემო ქართლი	5	613,764	244,145
აჭარა	5	524,283	207,620
იმერეთი	4	338,602	135,230
<b>სულ</b>	<b>206</b>	<b>20,493,635</b>	<b>7,997,897</b>

<http://www.arda.gov.ge/>

ცხრილი # 16 პროექტები და ინვესტიციები რეგიონების მიხედვით (2019 წ.)

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	ინვესტიციის სიდიდე (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსება სიდიდე (ლარი)
კახეთი	71	5,795,373	2,294,228
რაჭა ლეჩხუმი	11	1,093,103	437,241
მცხეთა-მთიანეთი	5	647,274	253,510
სამცხე-ჯავახეთი	3	450,276	178,938
გურია	2	253,043	101,217
აჭარა	3	219,821	87,928
იმერეთი	2	136,651	54,660
ქვემო ქართლი	1	126,314	50,525
შიდა ქართლი	1	70,920	28,368
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1	29,608	11,843
<b>სულ</b>	<b>100</b>	<b>8,822,382</b>	<b>3,498,460</b>

**პროგრამა „დანერგე მომავალი“**

პროგრამის ფარგლებში, ფერმერებს საშუალება აქვთ, სახელმწიფო თანადაფინანსების დახმარებით, გააშენონ მრავალწლოვანი ხეხილის ბაღები და შექმნან სანერგე მეურნეობები. პროგრამის განხორციელება 2015 წლის მარტში დაიწყო და მისი მთავარი მიზანია, მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება, რის შედეგადაც, მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

პროგრამა „დანერგე მომავალი“ შედგება ორი კომპონენტისგან და ერთი ქვეკომპონენტისგან: მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი, სანერგე მეურნეობის თანადაფინანსების კომპონენტი და კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი.

**ბაღების კომპონენტი**

მრავალწლოვანი ბაღების კომპონენტში ფინანსდება ნერგების ღირებულების 70%, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარესოფლებისა და მაღალმთიანი

დასახლებების შემთხვევაში ღირებულების 80%, (დადგენილია თითოეულ ნერგზე თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა) წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50%, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში ღირებულების 60%, (1 ჰა-ზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოსაწყობად განსაზღვრულია არაუმეტეს 2,500 ლარის ოდენობის თანადაფინანსება). სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ ბენეფიციარს შესაძლებლობა აქვს

მონაწილეობა მიიღოს რამდენჯერმე, თუმცა, ჯამურად მიღებული დაფინანსების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 250,000 ლარს, ხოლო ჯამურად გაშენებული ბაღის ფართობი, არ უნდა აღემატებოდეს 50 ჰექტარს.

პროგრამის ბაღების კომპონენტის ფარგლებში, დაფინანსდება ერთი ბენეფიციარის მიერ მინიმუმ 0.5 ჰა მრავალწლიანი კულტურის ბაღის გაშენება.

თანადაფინანსების მოცულობა 1 ჰა-ზე არ უნდა აღემატებოდეს 10,000 ლარს. ლურჯი მოცვის კულტურაზე 1 ჰა-ზე დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტი შეადგენს 15,000 ლარს. ბაღების კომპონენტის ფარგლებში, პირველ რიგში, დაფინანსდება შესასყიდი ნერგების ღირებულების 70 % ან 80 %, ხოლო თანხის დარჩენილი სხვაობიდან - წვეთოვანი სარწყავი სისტემა.

<http://www.arda.gov.ge/>

## რეგიონები და ფართობები

ცხრილი #17 გაშენებული და გაშენების პროცესში არსებული ფართობები

რეგიონების მიხედვით

(2015-2019 წ.წ.)

რეგიონი	2015-2019 წ.წ. - ფართობი (ჰა)	აქედან: 2019 წ. - ფართობი (ჰა)
აჭარა	44	10
გურია	196	42
იმერეთი	497	170
კახეთი	3,380	891
მცხეთა-მთიანეთი	120	13
რაჭა-ლეჩხუმი	21	3
სამეგრელო	648	161
სამცხე-ჯავახეთი	25	0
ქვემო ქართლი	1,449	469
შიდა ქართლი	2,096	341
სულ	8,476	2,099

## ინვესტიციების შემცირების სავარაუდო მიზეზები

სფეროებში ინვესტირების შემცირება 2018 წლიდან დაიწყო. წინა წელს წამყვან ხუთ სექტორში ინვესტიციები 856 მილიონ დოლარამდე შემცირდა, თუმცა, საკმაოდ მაღალი დარჩა სექტორების წილი და 71%-ით განისაზღვრა

9 სექტემბერს საქსტატმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 2019 წლის მეორე კვარტლის სტატისტიკა გამოაქვეყნა. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში საქართველოში ინვესტიციების რაოდენობა ბოლო ათწლეულის მინიმუმზეა. მეორე კვარტალში საქართველოში სულ 187 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 53%-ით ნაკლებია.

საქსტატი შემცირების მთავარ მიზეზებს შორის, მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულებას, არარეზიდენტი ინვესტორების მიმართ ვალდებულებების შემცირებასა და რეინვესტიციის მოცულობის შემცირებას ასახელებს. ამრიგად, ინვესტირების შემცირების

უმთავრესი მიზეზი ქვეყნის ეკონომიკური მიმზიდველობის ვარდნაა. უნდა ითქვას, რომ ინვესტირება შემცირდა ეკონომიკის იმ სექტორებში, რომელიც ტრადიციულად ყველაზე მეტ თანხებს იზიდავდა.

2017 წელს, მთელი ინვესტიციების 76% ენერგეტიკის, უძრავი ქონების, საფინანსო, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორებში განხორციელდა. მაშინ ამ ხუთმა წამყვანმა სექტორმა 1,5 მილიარდი დოლარი მოიზიდა.

2019 წლის მეორე კვარტლის მაჩვენებლებით თითოეული სექტორში კლება შემდეგნაირად გამოიყურება:

მშენებლობა — \$4,2 მილიონი, კლება — 37%;

ტრანსპორტი-კავშირგაბმულობა — \$19,8 მილიონი, კლება 73%;

უძრავი ქონება — \$22,8 მილიონი, კლება — 63%;

ენერგეტიკა — \$63,7 მილიონი, კლება — 37%.

საფინანსო სექტორი — კლება 33 მილიონი დოლარია.

<http://www.tabula.ge/ge/story/155559-ratom-shemcirda-investiciebi-dramatulad-daras-unda-velodot-2020-tsels>

## საფინანსო სექტორი

წლების განმავლობაში საფინანსო და მშენებლობის სექტორები საქართველოს ეკონომიკის წამყვანი სფეროები იყო ინვესტიციების რაოდენობით, ასევე საშუალო დასაქმებით და ხელფასების სიდიდით. ინვესტირების შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ბოლო წლებში ამ სფეროებში მთავრობის მხრიდან დაწესებული ახალი რეგულაციებია. ინვესტიციების კლების მთავარი მიზეზი საფინანსო სექტორში

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სისტემის ამოქმედება და საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ჭერის დადგენა გახდა.

სესხის გამცემ ორგანიზაციებს მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე მიღებული რეგულაციებით, სესხის გაცემა აეკრძალა. დაწესდა სესხების კოეფიციენთა ახალი სისტემა და ყოველთვიური შემოსავლიდან სესხის მომსახურების მაქსიმუმი. გართულდა თვითდასაქმებული პირების დაკრედიტება.

საფინანსო სექტორში ინვესტიციების კლება ძირითადად არასაბანკო ორგანიზაციებს უკავშირდება. კლების მთავარი მიზეზი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზრის რეგულაციებია. პასუხისმგებლიანი დაკრედიტებისა და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთის დაწესებამ, უმთავრესად, ესეთ ორგანიზაციებს დაარტყა.

მიკროსაფინანსოების მიერ გაცემული სესხების დიდი ნაწილი იმ ფიზიკურ პირებზე გაიცემოდა, რომლებიც შედარებით მაღალი რისკის კატეგორიაში გადიოდნენ. რისკის დასაბალანსებლად, ესეთი ორგანიზაციები მაღალ საპროცენტო განაკვეთს აწესებდნენ. მიღებული რეგულაციებით, რისკის კატეგორიაში გამავალ პირებზე სესხის გაცემა თითქმის შეუძლებელია და რომც შეიძლებოდეს საპროცენტო განაკვეთის რეგულირებამ რისკის დაბალანსების საშუალება მოსპო.

შედეგად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში 19 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაცია მოხდა, ხოლო დარჩენილი ორგანიზაციები მოგების ნაცვლად ზარალზე მუშაობენ. მიმდინარე წელს ამ ორგანიზაციების ზარალი 79 მილიონი ლარია.

ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკის ამ სფეროებში ინვესტირება მიმზიდველი ნამდვილად აღარ არის. თავის



მხრივ, სესხების გართულებულმა გაცემამ გავლენა იქონია ეკონომიკის ისეთ სექტორებზე როგორცაა მშენებლობა და უძრავი ქონება

TBC RESEARCH-ის მონაცემებით, ბოლო ოთხ ფინანსურ კვარტალში საქართველოს საფინანსო სექტორში ინვესტირება 283 მილიონით შემცირდა. რაც შეეხება მშენებლობის სექტორს აქ დანაკარგი 220 მილიონი დოლარია.

ახალი სამშენებლო და საბანკო რეგულაციებიდან მალევე, 2019 წლის პირველი კვარტალში, სამშენებლო სექტორი ყველა ძირითადი პარამეტრით შემცირდა, მათ შორის დასაქმებულთა რაოდენობა და სექტორის ბრუნვაც. მეორე კვარტალში სექტორმა შემცირება შეწყვიტა და მცირედით გაიზარდა კიდევ. მაგალითისთვის, 2019 წლის მეორე კვარტალში, თბილისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 25 ბინით მეტი გაიყიდა. წლის პირველ კვარტალთან შედარებით 101 ადამიანით გაიზარდა სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობაც.

2017-2018 წლებში სექტორი საშუალოდ, 22 პროცენტით იზრდებოდა, სულ 2014-2017 წლებში სექტორი 57%-ით გაიზარდა, წელს ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ ბევრად ნაკლები იქნება. 2019 წლის პირველ ნახევარში სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ჯამურად 4 ათასი ადამიანით არის შემცირებული.

სამშენებლო სექტორისა და განსაკუთრებით უძრავ ქონებაში ინვესტიციების შემცირების ტენდენცია დაადასტურა TBC CAPITAL-ის კვლევამაც. კვლევის მიხედვით, 2019 წლის პირველ ნახევარში არარეზიდენტი პირების მიერ შეძენილი ქონების წილი, ჯამურად გაყიდულ უძრავ ქონებაში 13%-დან 8%-მდე შემცირდა. ამ კლების მთავარ მიზეზად, ირანიდან მოთხოვნის შემცირება სახელდება.



მხოლოდ ირანიდან საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე ინტერესის კლების გამო, მხოლოდ თბილისში სამშენებლო სექტორმა დაახლოებით 80 მილიონ დოლარით იზარალა.

ამ ინტერესის კლება მხოლოდ უძრავი ქონების სექტორზე არ ასახულა. 2019 წლის ივლისში რეკორდულად შემცირდა ირანელი ტურისტების რაოდენობაც. წინა წლის ივლისთან შედარებით, მიმდინარე წლის ივლისში საქართველოს 21 ათასით ნაკლები ირანელი ესტუმრა. მანამდე მზარდი ინტერესის შემცირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, ირანის ელჩი საქართველოში საზღვრებიდან ირანის მოქალაქეების გაბრუნების გახშირებულ შემთხვევებს ასახელებს.

სულ მიმდინარე წელს, საქართველოს საზღვრებიდან 13,165 ადამიანი გააბრუნეს, აქედან 5,656 (42%) კი სწორედ, ირანის მოქალაქეა.

[http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo\\_2020.pdf](http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf)

### **დიდი პროექტები**

ინვესტიციების კლებაზე საუბრისას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ აღნიშნა, რომ საინვესტიციო პორტფელს ანაკლიის პორტის პროექტზე გათვალისწინებული თანხები დააკლდა. მართლაც, მიმდინარე წელს ამ პროექტისთვის გათვალისწინებული 600 მილიონი დოლარის ინვესტიცია ქვეყანაში ჯერჯერობით არ შემოსულა. ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსებული ქართული კომპანიების საბაზრო ღირებულება ჯამურად 200 მილიონი გირვანქა სტერლინგით შემცირდა, რაც ეროვნულ ვალუტაში 700 მილიონს აღემატებოდა. ამ მოვლენებიდან 5 დღეში ლარმა გაუფასურების ახალი ანტირეკორდი დაამყარა. 10 სექტემბერს გამოქვეყნებულ კვლევაში TBC RESEARCH-ი 2019 წელს ინვესტიციების 30%-იან კლებას ვარაუდობს. თუ კი ეს პროგნოზი გამართლდება საქართველოში პირდაპირი უცხოური

ინვესტიციები დაახლოებით, 840 მილიონი დოლარის ნიშნულზე შეჩერდება, რაც 2010 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

<https://www.tabula.ge/ge/story/155559-ratom-shemcirda-investiciebi-dramatulad-da-ras-unda-velodot-2020-tsels>

2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 42%-ით არის შემცირებული. აღნიშნული კლების მიზეზად გარკვეულწილად პანდემიით გამოწვეული კრიზისი გვევლინება, თუმცა პანდემიამდეც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მკვეთრი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. 2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საქართველოში 165 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, მათ შორის, აშშ-დან 28.1 მლნ აშშ დოლარის პუი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 34% ზრდას შეადგენს და მთლიანი ინვესტიციების 17%-ს წარმოადგენს. აღსანიშნავია რომ ერთჯერადად, კვარტალური მონაცემების აღება გარკვეული დინამიკის ზოგადი ანალიზისთვის ნაკლებად რელევანტურია, რადგან გარკვეული მაჩვენებელი კონკრეტულ პერიოდში შესაძლოა ერთჯერადი ფაქტორების გამო მწკრივის საერთო დინამიკიდან ამოვარდნილი იყოს, თუმცა მეორე მხრივ, გასათვალისწინებელი ფაქტორია ეპიდსიტუაცია მსოფლიოში და ამ მხრივ, კვარტალური დინამიკა საინტერესოა. ახლო წარსულში, პუი-ის დინამიკა აშშ-დან მზარდი ტენდენციით ხასიათდება როგორც კვარტალურ, ისე წლიურ დონეზე. განსაკუთრებით მაღალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი 2014 წელს იყო, 184 მლნ აშშ დოლარი, რამაც მთლიანი წლიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 10% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის პირველ კვარტალში, რიგითობის მიხედვით: გაერთიანებული სამეფო (73 მლნ), აშშ (28.1 მლნ), პანამა (19.6 მლნ), დანიის სამეფო (11.5 მლნ), ნიდერლანდები (11.15 მლნ) და თურქეთი (11.13 მლნ) უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს წარმოადგენდნენ.

<https://factcheck.ge/ka/story/38510->

## დასკვნები და რეკომენდაციები

- ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მდგრად ეკონომიკის განვითარებაში, ხელს უწყობს დასაქმებას და ამცირებს სოციალურ უთანასწორობას. ინვესტიციები დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე მხოლოდ შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში. ინვესტიციები ვერ იქნება მატერიალიზებული თუ ქვეყანას არ ექნება ისეთი ადეკვატური და ფუნდამენტური წინაპირობები, როგორცაა: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, სათანადო გარემო ადამიანური კაპიტალის და სამართლებრივი ჩარჩოს თვალსაზრისით.
- საქართველოში ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიუხედავად, საქართველოს კანონმდებლობა კიდევ უნდა დაუახლოვდეს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, საჭიროა ინვესტიციების ხელშეწყობის პირობების გაფართოება და მათი დაცვის გაძლიერების ღონისძიებების შემუშავება.
- ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობისათვის სასურველია წინა წლებში შემოსული ინვესტორებისათვის რეინვესტიციის განსახორციელებლად შესაბამისი გარემოებების შექმნა და ხელის შეწყობა.
- საჭიროა შემუშავდეს ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია, გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც მთლიანი საქართველოს ასევე მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი დონე და ის ორიენტირები, რომელსაც უნდა მიაღწიოს ქვეყანამ.
- არსებული რეგიონალური საინვესტიციო პროექტების ფინანსური მდგრადობის პრობლემების გადაჭრის გზების და სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა წარმოჩინება. შესამუშავებელია პრობლემათა გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატიული გზები და რეგიონალური

საინვესტიციო პროექტების ფინანსური მდგრადობის გამართულად მართვის აუცილებლობა, პროექტების უკეთ ფუნქციონირებისათვის.

- რეგიონული პრობლემების აღმოჩენა, რესურსების სწორად გადანაწილება, საინვესტიციო პროექტის დადებითი მხარის განსაზღვრა, პროექტის მომგებიანობის შეფასება.
- სანამ ინვესტიციას განვახორციელებთ საჭიროა საინვესტიციო პროექტის შეფასება შემდეგი მიმართულებებით: პოლიტიკური, იურიდიული, ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური, კომერციული, ტექნიკური, გარესმოსთან დაკავშირებული შედეგების კვლევა.
- რადგან რეგიონული დადებითი ფაქტორების წარმოჩენა გავლენას ახდენს ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებაზე, ამიტომ საჭიროა მუნიციპალური ქონების ოპტიმალური მართვა და მისი გამოყენება ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლების კუთხით. უნდა დავსახოთ ამოცანები საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით როგორცაა: თანამედროვე აღჭურვილობა, ახალი ტექნოლოგიები, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ნეგატიური ფაქტორების შემცირების გზები, რომლებიც მოქმედებს პროექტების მართვის ეფექტიანობაზე.
- საჭიროა რეგიონალური საინვესტიციო ფინანსების მდგომარეობის შესწავლა, შიდა რეგიონულ ჭრილში პრობლემის აღმოჩენა, ფინანსების ეფექტური მართვის ღონისძიებების დასახვა.
- სამომავლო პერსპექტივების განსასაზღვრად საჭიროა იმ ინვესტორების მუდმივი გამოკითხვა რომლებიც წლებია ახორციელებენ ინვესტიციებს რეგიონებში. როგორია მათი სამომავლო გეგმები, აპირებენ თუ არა ინვესტიციების კვლავ განხორციელებას, რა რაოდენობის და რა მიმართულებით.
- აუცილებელია ინვესტიციების აღრიცხვა დასახული მიზნებისა და პრიორიტეტების სწორად შეფასებისთვის და შემდგომ

ანალიზისთვის, ეს განსაკუთრებით აუცილებელია ინვესტიციების ეფექტიანობის, მათი მიზანმიმართული გამოყენების შეფასებისთვის.

- ვფიქრობ, აუცილებელია სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფა და მისი დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან.
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ნეგატიურ მხარეებს შორის შესაძლოა განვიხილოთ ისეთი საკითხები როგორცაა: მაღალი საპროცენტო განაკვეთები, საკუთრების დაცვის დაბალი დონე, საფონდო ბირჟის განუვითარებლობა, სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიციურობა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი, კონფლიქტური რეგიონების არსებობა და სხვა.
- საქართველო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შემოდინებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რაც ერთის მხრივ მათზე დამოკიდებულებას, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოსადმი დაინტერესებაზე მიუთითებს. საქართველოში დაფიქსირებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უდუდეს გავლენას ახდენს ქართულ ეკონომიკაზე, უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები ბაზრის სეროზული მოთამაშეები არიან და განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკური აქტიურობის ძირითად ბირთვს. ქართული ექსპორტი დიდწილად უცხოური ინვესტიციების ხარჯზე ვითარდება.
- უცხოური კომპანიები ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც მათ საინვესტიციო გადაწყვეტილებაზე მოქმედებს, ინფრასტრუქტურის განვითარების დონეს მიიჩნევენ ამიტომ, ქვეყნის მთავრობა სწორედ ამ საკითხით უნდა დაკავდეს.<sup>9</sup>
- ქვეყნის გარეთ პროდუქციის მომგებიანი რეალიზაციისათვის, საჭიროა ინვესტიციების დაბანდება ფართომასშტაბიანი წარმოების

---

<sup>9</sup> ნ.ბეჟანიძე „ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და გლობალიზაციის გამოწვევები“

დარგებში, რათა მოხდეს პროდუქციის კონკურენტუნარიანობის  
ამაღლება და ხელი შეეწყოს ეკონომიკურ ზრდას.

- აუცილებელია, შეიქმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც  
უზრუნველყოფს ყველა ეკონომიკური სუბიექტის ზრდის თანაბარ  
შესაძლებლობებს და შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას.

## ბიბლ იოგრაფია

(n.d.), W. T. (n.d.). *Retrieved from An introduction to cost-benefit analysis.*

(n.d.), K. (n.d.). *World Data Atlas. Retrieved from Knoema.*  
<https://knoema.com/atlas/Georgia/GDP>.

Asian Development Bank. (2017). *Retrieved from Guidelines of the Economic Analysis of the Projects.*  
<https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/32256/economic-analysis-projects.pdf>.

Bo, C. D. (2016). *Retrieved from Shadow wages for the EU regions: .*  
[http://fiorio.economia.unimi.it/res/Del%20Bo%20Fiorio%20Florio%20Article%202011\\_1\\_17.pdf](http://fiorio.economia.unimi.it/res/Del%20Bo%20Fiorio%20Florio%20Article%202011_1_17.pdf)

Buehring, S. (2011). *PRINCE2 theme: Business Case.*

DTTAS. (2016). *Retrieved from Common Appraisal Framework for Transport Projects and Programmes:.*  
<http://www.dttas.ie/sites/default/files/publications/corporate/english/common-appraisal-framework-2016-complete-document/common-appraisal-frameworko>.

European Commission. (2014). *Retrieved from Guide to Cost-Benefit Analysis: .*  
[http://ec.europa.eu/regional\\_policy/sources/docgener/studies/pdf/cba\\_guide.pdf](http://ec.europa.eu/regional_policy/sources/docgener/studies/pdf/cba_guide.pdf).

Ministry of Finance of Georgia. (2018). *Retrieved from Donors' supported Projects and Programs Envisaged in the State Budget:.*  
[https://mof.ge/images/File/WEB\\_2018\\_April\\_Eng.pdf](https://mof.ge/images/File/WEB_2018_April_Eng.pdf).

UN. (2012). *Cost-Benefit Analysis for Regional Infrastructure in Water and Power Sectors in Southern Africa.* UN.

### სტატია:

ნაზიბარათაშვილი, ზაზაფარსენაძე, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“, #18, 2018 წელი, დეკემბერი.

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/305126/1/Ekonomikuri\\_Profili\\_2018\\_N18.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/305126/1/Ekonomikuri_Profili_2018_N18.pdf)

რევაზკაკულია, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები „ეკონომიკური პროფილი“, #3, 2007, ივლისი

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/152050/1/Ekonomikuri\\_Profili\\_2007\\_N3.pdf?fbclid=IwAR111wv6XDhEzYj\\_tzrOgqd7T5ULUcbQ2byZSwpz1vVxJEkVpgTRcobXxD8](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/152050/1/Ekonomikuri_Profili_2007_N3.pdf?fbclid=IwAR111wv6XDhEzYj_tzrOgqd7T5ULUcbQ2byZSwpz1vVxJEkVpgTRcobXxD8)

ბესო ნამჩავამქრამდენად წარმატებულად იზიდავს საქართველო  
უცხოური ინვესტიციებს? 11 მაისი, 2017 • ეკონომიკა

<https://forbes.ge/news/2115/ramdenad-warmatebulad-izidavs-saqarTvelo-ucxour-investiciebs>

#### ელექტრონული წიგნი:

Anand Rajaram, Tuan Minh Le, Kai Kaiser, Jay-Hyung Kim,  
and Jonas Frank, The World Bank (2014), „The Power of Public Investment Management“  
<http://documents.worldbank.org/curated/en/461121468164052711/pdf/The-power-of-public-investment-management-transforming-resources-into-assets-for-growth.pdf>

evgeni baraTaSvili, niko bakaSvili, nino faresaSvili, badri geCbaia, darejan mesxiSvili, Tanamedrove  
biznes strategiebi, gamomcemloba `universal` Tbilisi 2011წ.

<http://www.bpa.ge/book/book35.pdf>

მზიაშელია, „მოსახლეობის ეკონომიკა“,  
ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
2019

[http://press.tsu.edu.ge/data/image\\_db\\_innova/Mzia-Shelia\\_Mosaxleobis-Ekonomika.pdf](http://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/Mzia-Shelia_Mosaxleobis-Ekonomika.pdf)

evgeni baraTaSvili, badri geCbaia vladimer Rlonti, „saqarTvelos ekonomikis konkurentunarianoba,  
Tanamedrove gamowvevebi“ gamomcemloba `universal` Tbilisi 2012

<http://www.bpa.ge/book/book06.pdf>

ნ. ბეჟანიძე „ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და გლობალიზაციის  
გამოწვევები“

[https://www.bsu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_8499\\_1.pdf](https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_8499_1.pdf)

#### ელექტრონული გვერდები:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>

<https://www.geostat.ge/media/30130/pirdapiri-ucxouri-investiciebis-statistikis-mokle-metodologia.pdf>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,  
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI)

განგარიშების მოკლემეთოდოლოგია და პრაქტიკა საქართველოში

<https://www.geostat.ge/media/30130/pirdapiri-ucxouri-investiciebis-statistikis-mokle-metodologia.pdf>

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

<https://mradi.gov.ge/ka/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20PDF?fbclid=IwAR06WD7HzhhHjXL30ItRjseUPfVbGqPE-3jmkWGq-CSHDjQvHz4hT2QWTRo>

საინვესტიციო კომპანია „დელტა კაპიტალი“

<http://www.delta-capital.ge/news/id=5>

სსიპ „აწარმოე საქართველოში“



<http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>

სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი სს „საპარტნიორო ფონდი“  
<https://www.fund.ge/site/projects>

ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ“  
<https://georgia.peopleinneed.global/ka/>

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო „არდა“  
<http://www.arda.gov.ge/>